



აპრილი
1933 წ.
№ 88

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
A V R I L
1933—№ 88

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—სტალინის დიპლომატია.
გენო—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.
ქება ს. ს. რ. კავშირს.
მ. მუსხელიშვილი—საკონფედ. სასამ. კავკ. პაქტში
ალ. ასათიანი—მეტი გონიერება და ნაკ. გრძობა.

მღვალისე—ე. «მხედარი» და გ. ჩხეიძის «მოგონ.»
საქართველოს სოც.-დემ. პარტიის 40 წ. იუბილე.
X—წერილი ამერიკიდან.
ბიბლიოგრაფია.
მოწოდება და სხვ.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს ღ ი ვ ლ ო მ ა ტ ი ა

დამსახურებული ჯილდო!—აი რა ახრი მოგვდის, საქმე რომ გეპეუს მიერ დატანჯულ რუს და ინგლისელ ინჟინრებს არ ეხებოდეს. ინგლისის ტაძრებში ტევა არ იყო ხალხისგან, მსურვალეთ ლოცულობდენ ექვსი თანამემამულის ხსნისათვის. ორი «თეთრი წიგნი», მთავრობის მიერ ამ შემთხვევისთვის გამოქვეყნებული, დებატები პარლამენტში, პროტესტები, აღშფოთება და ბოლოს ემბარგო საბჭოთა საქონელზე.

მერმე რა მოხდა? ექვს ინგლისელს გეპეუს სიკვდილით დაემუქრა, ბრალიც თავისებური დასდო: მავნებლობა, ჯაშუშობა, შეთხზული, ტლანქი. ორი მათგანი აწამა კიდევ თავის ჯურღმულეებში, «გასტეხა», თავი დამნაშავედ გამოაცხადებინა და ორი თუ სამი წლის ციხე მიუსაჯა თვითეულს. მერმე რაა აქ აღსაშფოთებელი? განა კიდევ გუშინ არ დახვრიტა გეპეუმ 35 რუსი იმავე დანაშაულისათვის გაუსამართლებლათ? მათი ხვედრი ხომ უარესი იყო? განა მარტო მათი? რამდენი ექვსი ათასი, რამდენი მილიონი იმსხვერპლა გეპეუმ? ვინ აღშფოთდა მათი გულისათვის, ვინ ილოცა?

ეს ჩვენი საქმე არაა, საბჭოთა შინაური საქმეა—მოგიგებენ ერთხმით ინგლისელნი და სხვა უცხოელნიც; მათ შეუძლიათ ერთმანეთი დასჯამონ. მოსპონ, ოღონდ ჩვენ ხელს ნუ გვანდებენ—აი მათი ლოდიკა, სამართლიანობა! დაეშუვათ ეს ასეა, ევროპა-ამერიკას ხელი არა აქვთ, რაც საბჭოთა კავშირში ხდე-

ბა, მაგრამ ვიკითხოთ მართლა ატარებენ ისინი ამ ხახს, არ ერევიან საბჭოთა საქმეებში? ერევიან და კიდევ როგორ! ჯერ თვით ექვსი ინგლისელი ინჟინერი და მათი პატრონი ვიკერსი ხომ ხალასი ფაქტია, სულ წინამდევის დამამტკიცებელი.

აიღეთ სტალინის ხუთწლელი, განა ის შესაძლებელი იქნებოდა, თუ არა ევროპა-ამერიკის კრედიტი, მანქანები, სპეცები? რით, რა სახსრით, რა ცოდნით და უნარით ააგებდა მოსკოვი «გიგანტებს», რომლის წინაშე ბაჟურ-ადღერი იჩიქებენ? აიღეთ ესლაკოლდა სოვზოზები, განა შესაძლებელი იქნებოდა ესენი, თუ არა ხუთწლელი? ხუთწლელმა გამოიწვია ქალაქების არანორმალური გაბერვა, ახალი სამრეწველო ცენტრების გაჩენა, მუშათა რიცხვის გაორკეცება, გასამკეცება, ხოლო მათი გამოკვება სოფელმა ვერ შესძლო, წართმევას საბოტაჟით უპასუხა—აი კოლექტივიზაციის ორგანიზული მიზნები. დღეს სოფელიც და ქალაქიც ძველი რომის გალერებს მოგავგონებთ, მთელი სახელმწიფო მმართველობა იმაში მდგომარეობს, რომ გეპეუს შოლტით ხელში ამუშავებს ბორკილებში ჩაჭედებულ ხალხს და, სადაც შოლტი ვერ სჭრის, ნაგანით ასალმებს წუთისოფელს.

იტყვიან, ჩვენ რა შუაში ვართ, სტალინის ფანტაზია, ფანტიკოსობაა ბრალშიო. ვსთქვათ, ეს ასეა, სტალინი უკუაწევ მწყრალათაა, მაგრამ, ვიმეორებთ, ძალიან გონიერიც რომ ყოფილიყო, ის ვერ შესძლებდა, უცხოეთის დაუხმარებლათ, ამდენი ზიანის მი-

ყენებას ხალხისათვის. დესპოტია ერთია, სიმშობილი კიდევ მეორე; თუ პირველს ითმენენ, მეორე კანიბალიზმს იწვევს. ეს იცოდა უცხოეთმა, გაიხსენეთ თუ გინდ ლოიდ ჯორჯის ცნობილი ფრაზა, რაღა გასაკვირია, თუ კანიბალები ეხლა უცხოელთაც სწვდენ!

ესეც არ იყოს, ერთგული ამპარტავნობა რომ არ უშლიდეთ, ინგლისელნი მისვდებოდენ, რომ მათი მოძმეთა პროცესი მოსკოვში პირველი არაა და არც უკანასკნელი იქნება. გაიხსენეთ, კიდევ ხუთი წლის წინ ასეთივე პროცესი მოუწყვეს გერმანელ ინჟინერებს. ეს იყო მაშინ, როგორც დღეს ინგლისის მიმართ, ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადებასთან და ვალის გადახდის ვადასთან დაკავშირებული. მოსკოვი მიმართავს შანტაჟს, რათა შედგავთიანი პირობები გამოივაცროს; გერმანიის მიმართ ამ ხერხმა გასურა, რად არ უნდა გასურას ინგლისის მიმართო, ფიქრობს მოსკოვი.

მაგრამ ამ საჩვენებელ პროცესების მთავარი მიზეზი მაინც ისაა, რაც დღეს ყველას ენახედ აკვირია, რაც ალბათ საბჭოთა პიონერებმაც იციან. სტალინი ეძებს ბრალიანთ, ცდილობს მათ გადაადოს პასუხისმგებლობა იმ ავანაკურ ეკონომიურ პოლიტიკისათვის, რომელიც თვითონ მოახვია ქვეყანას და დღეს ის დაქცეულია.

ცარიზმის დროს, ხალხის თვალის ასახვევით, საგარეო ავანტურებს მიმართავდენ, იარაღის ჩხარუნს, ან კიდევ ნამდვილ ომს. სტალინისთვის ეს აკრძალული ხილია, ენატრება იგემოს, ხელი არ მიუწვდება. ამიტომ ის ამჯობინებს ისევ თავის ქვეშევრდომებში, ზოგჯერ უცხოელ სპეცებში, ეძიოს და მნაშავინი.

ეს რომ ასეა, აშკარათ სჩანს მანჯუკუოს ყოფაქცევიდან. ეს გუშინდელი სახელმწიფო, რომლის ცნობა ქენგვაში უარყვეს, ემუქრება ბუმბერაზ რუსეთს, თუ ვაგონები არ დაგიბრუნებია, ან შენ და ან მეო. ვაგონდებათ 1930 წელი, როცა იმავე ჩინეთ-ალმოსავლეთის რკინის გზის გამო წითელმა ჯარმა გაისეირნა მანჯურიაში. რა მოხდა ეხლა, რად კანკალებს კრემლი? იმიტომ რომ მანჯუკოს უკან იაპონია სდგას, მუქარა მისგან გამოდის. ორი წელი მართლა შესრულდა მას აქეთ, რაც იაპონიის სამხედრო ავტორიტეტნი ამბობდენ კულისებში, ორი წელი დაგვიკირდება მანჯურიაში რომ გავმაგრდეთ, შემდეგ ჯერი რუსეთის «ნაჭრებზე» მიდგებაო. ნუ თუ დადგა ეს დრო? მაშ რით აიხსნება ყარახანის «თავახიანი» პროტესტები და იაპონიის ხელის დაბანა: საქმე მე არ მეხება, მიმართეთ მანჯუკუოსო? ან კიდევ მოსკოვის ხვეწნა იყიდეთ ჩემი ნახევარი რკინის გზისო?

ტოკიო ჯანჯლობს—გიქი ხომ არა ვარ ვიყიდო, რაც მუქათ პირში მივარდებო!

მაგრამ რაც ყველაზე უფრო საშიშოა მოსკოვისთვის—ეს გერმანიასთან დამოკიდებულება. აქ კი მართლა შეიძლება ითქვას, რომ ახია მისთვის! კომუნისმი, რომლის მოსპობა ნაციონალ-სოციალისტებმა საბაბად გამოიყენეს, მოსკოვის საქმეა, ამიტომ პირველის დაკვრა მეორის დაკვრას მოასწავებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამან მაშინვე იპოვა გამოძახილი მოსკოვში. უკანასკნელი ვერ ბედავს პირდაპირ და აყენოს კითხვა—ესეც ხომ გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევა იქნებოდა—, ამიტომ ის ეძებს უფრო ღრმა მიზეზებს და პოულობს კიდევ: პიტლერის გერმანია საბჭოთა კავშირის დანაწილებით გვემუქრებაო.

და, მართლაც, უნდა ითქვას, პიტლერს თავიდანვე თავისი დოქტრინა ჰქონდა რუსეთის მიმართ. ის მას არ მალავდა, სანამ კანცლერი გახდებოდა, დღესაც, დაუსახელებლათ, ხშირათ უბრუნდება ამ თემას. მას, მაგ., სასაცილოთ არ ყოფნის ძველი სახდერების აღდგენა: რას უშველის ეს 65 მილიონ სულსო—ამბობს პიტლერი და თვალი პოლონეთის გადაღმა, უკრაინის და დიდი რუსეთის გაშლილ ველებსკენ უჭირავს. გაიხსენეთ ძველი ლოზუნგი: Drang nach Osten (წინ აღმოსავლეთისაკენ), დღეს ეს მიდრეკილება ერთი ორათ, სამათ გაძლიერებულია...

ცნობილი ბალტელი როზენბერგი ნაც-სოციალ-პარტიის «საგარეო ოფისის» უფროსად დაინიშნა. ცხადია რას ნიშნავს ეს, რადეკმა კარგათ განმარტა იგი: ვიცით, გინდათ ჩვენს სხეულზედ გაისეირნოთ, ვერ მოგართვითო.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ადგილების კოლონიზაცია—აი მიზანი, რაც ბერლინში აქვთ დასახული. მაგრამ ამით ხომ მუშტარს დაკარგვენო—იტყვიან და, მართლაც, გერმანიის მრეწველნი, ბანკები და თვით მთავრობა მოსკოვის მთავარი კონტრაგენტნი იყვნენ. ივიწყებენ მხოლოდ ერთ გარემოებას: საბჭოთა კავშირი ისე გაღარბდა, ისე შემცირდა აღებ-მიცემობა უცხოეთთან, რომ ის ეხლა არაა წინანდელივით სახარბიელო მუშტარი. ჯერ ის ვალები, რომელიც მას დაედო გერმანიაში, გაუსტუმრებელია, ახალი ვალები არავის იზიდავს.

ამიტომ, როცა პარიზში ამდენ გამორჩენას ვლიან საბჭოებთან ვაჭრობისგან, ბერლინში ილიმებიან. ისიც უნდა ითქვას, აქ მოტივი სხვაა, საფრანგეთს და მის მოკავშირეთ სურთ მოსკოვის ნეიტრალიტეტი, ვინიცობაა თუ გერმანიამ იარაღი აიღო სახდერების გასასწორებლათ. ეხლა ლაპარაკობენ მცირე



ანტანტის მოსკოვთან დაახლოებაზე, გამოდის სლავიანთა და ფრანგთა ერთგვარი კოალიცია, ეს კი ნავთს ასხამს ცეცხლზე არა მარტო გერმანიის. რომში არ არიან კმაყოფილი, მეტს ყიდულობენ, ვინემ ყიდიან, ეს ხომ საერთო წესია ვისთანაც კი მოსკოვი ვაჭრობს. ფონ პაპენის და გერინგის საიდუმლო მოლაპარაკება რომში საბჭოებთან დამოკიდებულებასაც ენებოდა, ეს გამოსუვივოდა გერინგის სიტყვიდან რომისკენ გაფრენამდე.

ამ რიგათ, სტალინის დიპლომატია სავსებით შეფერება მის საშინაო პოლიტიკას. ქვეყანა აოხრებული, დაუძლურებული, სიმშვილის და ტერორის ქვეშ, დიდ სახელს ვერ მოიხვევს გარეთ. მიუხედავად სასტიკ დამარცხებისა ეკონომიურ სარბიელზედ, სტალინი მაინც განაგრძობს ქვეყნის დარბევას და აჩქარებს საშინელ კატასტროფას. ეს კი მადას უღვიძებს შეზაბელ დიდ სახელმწიფოებს დასავლეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით; უთვალთვალებენ სადავლოს.

მაგრამ კითხვაა, ვინაა ლაპარაკი, რომელ სადავლოზე? საბჭოთა ჩაგრული ერები კარგათ გრძნობენ საკუთარ სხეულზედ, ვინა და რა აქვთ მიზანში ამოღებული. შეგვიძლია გულზედ ხელდაკრფეთ ვუტყვიროთ ამ პერსპექტივებს? სადაა გარანტია, რომ ისინი საბედისწერა არ განდებიან ჩვენი ერისთვის?

დადგა დრო, როცა მარტო მამულიშვილობაზე ენაწყლიანობა არ კმარა, საჭიროა მოქმედება, სიფხილვე, გამბედაობა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩაგრული ერები უძლური არიან გავლენა მოახდინონ დიდ სახელმწიფოებზე, მით უფრო, უკანასკნელნი ძველ დიპლომატიას მიმართავენ თავიანთ ზრახვების განსახორციელებლათ, როგორ, რანაირათ შეიძლება ამ საიდუმლო კაბინეტებში შექვრება,

თავის ხმის მიწოდება? ეს ისეთი კითხვაა, რომლის შესწავლას ჩვენ უნდა ვანდომებდეთ მთელს ჩვენს დროს, ენერგიას, გამოცდილებას, ცოდნას. ამისათვის საჭიროა ერთი პირობა: უნდა მივბძლოთ დიდ სახელმწიფოებს და ვერიდოთ ჩვენი საქმეების ქუჩაში გამოტანას; უამისოთ სახელს გავიტყვებთ, ნდობას დიკარგავთ.

ყველაზე საშიშო ჩვენთვის ისაა, რომ ჩვენს ზურს უკან გადაწყვიტონ ჩვენი ბედი—ესეც არა ერთხელ გვითქვამს. ხშირათ მომხდარა ეს, ნუ გაგვიკვირდება, რომ კიდევ მოხდეს. მაშასადამე, ჩვენს წინაშე მძიმე ამოცანაა: სადაც ჩვენზე ბჭობენ, სწყვეტენ, ჩვენც იქ უნდა ვიყოთ.

მაგრამ დიპლომატია ერთია, ერში მუშაობა კიდევ მეორე. რა შეგიძლია გარეთ, თუ შინ უძლური ხარ? აი, ამიტომ ჩვენ თავიც არ უნდა დავზოგოთ, რომ ჩვენი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის მივცეთ ისეთი სახე, რომელიც მას უზრუნველყოფს ყოველ ავანტურისაგან, უდროო გამოსვლისაგან.

ერთი სიტყვით, სტალინის აზიურ დიპლომატიას ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ ევროპული დიპლომატია, რას ნიშნავს ეს? სტალინიმ გადაადგო რუსეთი აზიისაკენ, არც მალავს ამას, თავიც კი მოაქვს ჩვენი ხსნა კი ევროპის დიდი პოლიტიკის ფონშია, იქ უნდა მივაშველოთ, თუ არ გვინდა აზიურმა ტალღებმა გაგვიტაცოს. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, თითქო ჩვენ აზიას მტრულათ ვუყურებდეთ. პირიქით, კეთილმეზობლობას და მეგობრობას ვიცავთ მასთან, კავკასია ხომ გეოგრაფიულათ აზიასთან არის მიკრული, ისე როგორც ევროპასთან. აქ ლაპარაკია მხოლოდ ჩვენი დიპლომატიის გეზზე, რომელიც ევროპული უნდა დარჩეს.

აფხაზეთი უახლოეს წარსულში და ღღის

(წერილი საქართველოდან)

III. აფხაზეთის სკოლები.

ხშირად სკოლა ღაღადებს იქ, სადაც დეკრეტები და დადგენილებები სდუმან. ეს განსაკუთრებული განდება ბოლშევიკური სკოლის შესწავლით. არსად არ არის ისეთი დიდი ზღვარი სიტყვასა და საქმეს შორის, როგორც აქ. სკოლაამქლავნებს იმას, რასაც საქმით აკეთებს ხელისუფლება. მივყვით ფაქტებს, ვსახოთ, რა მდგომარეობასთან ვვაქვს საქმე.

ჯერ კიდევ ბიუროკრატიული მართველობის დროს ხელისუფლება ხსნიდა საქართველოში რუსულ სკოლებს ახალთაობის რუსიფიკატორულ ნიადაგზე აღზრდის მიზნით; ზოგან ქართულ ენას სრულიად კრძალავდა, ზოგ ადგილას ასეთი აკრძალვა საჭირო არც იყო, რადგან მცხოვრებლებმა არც იცოდენ ქართული. ასეთი იყო სწორედ აფხაზეთი. ასე რომ აფხაზეთში მეფის დროს იყო რუსული სკოლები, ქართული კი, როგორც გამონაკლისი. რევოლუციის ხანიდან იწყება ქართული სკოლის ქსელის გაშლა,

მაგრამ რუსული სკოლების წინააღმდეგ ბრძოლა არავის გამოუცხადებია, რუსული ენა არავის აუკრძალავს. პირიქით—ამ ენის სწავლებისათვის ქართულ სკოლებში განსახდვრული თანხები იხარჯებოდა.

რა ხდება ბოლშევიკების დროს აფხაზეთში? ქართული სკოლების ქსელი არამც თუ ფართოვდება, არამედ ზოგან მცირდება რიცხვობრივით (გაგრის რაიონი) და ყველგან კი ეცემა თვისობრივით რუსულ სკოლასთან შედარებით. მაგალითისათვის ავიღოთ გუდაუთის რაიონი: თვით გუდაუთში ქართული სკოლა პირველად გაიხსნა 1917 წელში. აქედან მას ემატება თითო ჯგუფი ყოველ წელს და ბოლშევიკების შემოსევის დროს გვაქვს ნორმალური ტიპის 4—წლელი. ამის შემდეგ გადის ათი წელი და სკოლას არც ერთი ჯგუფი არ ემატება. ყოველ წელს თხოულობს ქართველი საზოგადოება ქართულ სკოლას, მაგრამ ამაოდ. და ეს მაშინ, როცა გუდაუთში რუ-



სული არამცთუ 4 წლელი, არამედ 7 და 9 წლელიც კი არსებობს. გუდაუთის რაიონში ქართველი მოსახლეობა 8.000 ს აღემატება (თუ აფხაზებს ქართველებათ არ ჩავთვლით). რუსული მოსახლეობა კი ძალიან მცირეა. მართალია უკანასკნელად აქ ათასობით ჩამოდიან, მაგრამ ეს ახლად ჩამოსულები ერთადგილას არ ჩერდებიან და სკოლაშიაც არაფერს შეყავთ. პირობით: რუსები სკოლიდან გამოყვანილ ბავშვებს ამუშავებენ სოფხობებში, რომ ლუკმა პური იმოვნონ.

ამრიგად მიუხედავად რუს მცხოვრებთა სიმცირისა გუდაუთაში გვაქვს რუსული 4 წლელი, 7 წლელი და 9 წლელი. უკანასკნელად გახსნეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რასაკვირველია რუსული. თვით ქალაქში, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტი ქართველებია, გახსნილია ორი საბავშვო ბაღი, ორივე რუსულ ენაზე; ქართულ ან აფხაზურზე არცერთი. დიდი თხოვნისა და თვითდაბეგვრის შემდეგ, «დაკმაყოფილდა» ქართველობის სურვილი და 1931-32 წლის სამოსწავლო წელში დაემატა ქართულ სკოლას ერთი ჯგუფი. მაგრამ ეს ჯგუფი დაემატა სწორედ ფორმალურად და არა არსებითად. ჯგუფის გაზრდის და მეორე საფეხურის სკოლის მუშაობისათვის აქ არც ერთი მასწავლებელი არ გამოუგზავნიან. არ დამატებია არც ერთი ოთახი. მეცადინეობას მესუთე ჯგუფთან აწარმოებენ 4 წლელის მაისწავლებლები, როცა დროს იშოვიან. მასწავლებლები არიან ახალგაზრდები და გამოუცდელიები. ხელისუფლება იმით ეხმარება ახალგაზდა მასწავლებლებს, რომ ისედაც დატვირთულთ ორ-ორი ჯგუფით—ავალდებენ შეკრიბონ ადგილობრივი მცხოვრებლები და ასწავლონ უფასოდ წერა-კითხვა, მოაწყონ წარმოდგენები ავიანობის, თუ სხვა ამგვარი ორგანიზაციების ფონდის გასამდიერებლად და სხვა. აი ასეთ დატვირთულ მასწავლებლებს, რომლებსაც ერთი საათი დროც არა რჩებათ პედაგოგიური წიგნების საკითხავად—აბარებენ კიდევ მესუთე ჯგუფს. აქ გარკვეული მიზანია: «დაკმაყოფილდეს» მოსახლეობის ათი წლის თხოვნა და ჩაიწეროს ქართული 7-წლელი განათლების განყოფილების მიერ შედგენილ სკოლების სიაში. ეს ქართული სკოლის შესახებ.

აქ არის სომხური, ბერძნული და თურქული სკოლებიც, მაგრამ მათი ბედი კიდევ უფრო ცუდია, ვინემ ქართულის. 1 და 2 ჯგუფის შემდეგ ბავშვი უნდა გადავიდეს რუსულ ჯგუფში. მშობლიურ სკოლაში ნასწავლი მისთვის თითქმის გამოუხადეგარი ხდება და ბავშვი ხშირად ფრთხება მისი სკოლიდან რუსულ სკოლაში გადასვლის დროს, რასაც შედეგად მოსდევს უმეტეს შემთხვევაში სკოლის მიტოვება და ცხოვრების სახსრის ძიება.

ნაც. სკოლის ფორმალური არსებობით, რა თქმა უნდა, ხელისუფლება არაფერს ავებს, რადგან იცის—«ყველა გზა რომში მიდის». ყოველი ბავშვი რუსულ სკოლაში უნდა შევიდეს, თუ სწავლას აგრძელებს. შევეჩვით ვნლა აფხაზურ სკოლებს.

თანახმად აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებსა, აფხაზეთში უნდა გახსნილიყო აფხაზური სკოლები, გახსნეს აფხაზური და

გაუგზავნეს რუსი მასწავლებლები. რუს მასწავლებელმა, ცხადია, არ იცის აფხაზური და ასწავლის რუსულად. ამრიგად სახელით გვაქვს აფხაზური სკოლები, შინაარსით კი რუსული. მაგალითისათვის ავიღოთ სოფ, ზვანდრუფშის სკოლა (გუდაუთის რაიონი). აქ არიან მასწავლებლები აფხაზი და რუსი, ერთი ასწავლის რუსულად, მეორე აფხაზურად. ე. ი, ერთს ყავს რუსული ჯგუფი, მეორეს აფხაზური. ამ თემში რუსული მოსახლეობა სრულიად არ არის. ასე რომ სკოლაში არც ერთი რუსი ბავშვი არ სწავლობს. არიან აფხაზები და ერთად-ერთი ქართველი. რადგან აფხაზურ სკოლაში ნამყოფი ბავშვი უთუოდ რუსულ ჯგუფში უნდა გადავიდეს, ამიტომ აფხაზურ სკოლაში ნამყოფი ბავშვი ყოველთვის მოისუსტებს. ხშირად ნიჭიერი ბავშვებიც კი სწავლას თავს ანებებენ. ამ მოვლენას აფხაზი მშობლები ამჩნევენ და რადგან აფხაზურ სკოლის გვერდით და თვით აფხაზურ სკოლებშიაც რუსული ჯგუფები—მოსახლეობას რუსულ ჯგუფში შეყავს ბავშვი. აფხაზი გლეხი ისე, როგორც ყველა სხვა გლეხები, საკითხს პრაქტიკულად უყურებს. მან იცის, რომ აფხაზური ენა ღიხინს რომ ვასცილებები, მერმედ აღარ მოიხმარება და ცდილობს ასწავლოს ბავშს იმ ენაზე, რომელსაც ხელისუფლება პრიორიტეტს აკუთნებს, ე. ი. რუსულ ენაზე. რადგან საკითხი ასე დგას და მოსახლეობასაც ბავშვები რუსულ სკოლებში შეყავთ, ხელისუფლება რუსული სკოლების გახსნას ხალხის მოთხოვნილებათ ასაღებს და თავის მიზანს, მოსახლეობის გარუსებას, უფრო კარგათ ემსახურება.

სოფელი ღიხინი აფხაზეთის ისტორიული და ცენტრალური სოფელია. აქ მოსახლეობა მთლიანად აფხაზებია. იგი ქალაქის ახლოსაა (გუდაუთიდან ღიხინის ცენტრამდე 4 ვერსია) და მოსახლეობა სწავლას უფრო ეტანება. ვინემ სხვა სოფლებში; ჯიროხვის, ზვანდრუფშის და მანლობელ სოფლების ბავშვები აქ სწავლობენ, რადგან აქ არსებობს 7-წლიანი შრომის სკოლა საკოლმეურნეო სკოლის სახით; აქ არის საბავშვო ბაღიც, სადაც მიყვით აფხაზი ბავშვები. ეს სოფელი ლაკობას სოფელია და იგი ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგას. 7 წლელში რუსულად ასწავლიან, ეს თითქოს ბუნებრივია, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ხელისუფლება გზას უხსნის ვითომ აფხაზურ სკოლებს, ხოლო ბავშვებს ამზადებს რუსული სკოლისთვის. საბავშვო ბაღშიაც მუშაობა, უსუსურ ბავშვებთანაც კი, რუსულ ენაზე სწარმოებენ, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელებმა აფხაზური ენა მშვენივრად იციან. რუსული საბავშვო ბაღი გზაა რუსულ სკოლისაკენ! ამრიგად: ყველა სკოლებისათვის განვითარების გზები დაკეტილია, გარდა რუსული სკოლისა. ქართულ და აფხაზურ სკოლებს ისეთ პირობებს უქმნიან, რომ იგი ბუნებრივად უკან მიდის,—რუსულ სკოლას კი ხრდის და ანვითარებს აფხაზების და ქართველობის ხარჯე მატერიალურად და შემადგენლობითაც. ამას ნათლად გვიჩვენებს თვით რუსული სკოლების შესწავლა. ავიღოთ მაგალითისათვის გუდაუთის რუსული 7-წლელი. დაუკვირდეთ მოწაფეთა



შემადგენლობას. მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან დიდი უმრავლესობა აფხაზებია. აი ცხრილი:

აფხაზები	255 მოწაფე.
ქართველები	21

რუსები, სომხები, ბერძნები და სხვანი 115.

ამ უბრალო მაგალითიდანაც კი სჩანს, რომ იმ სკოლაშიაც, რომელიც ვითომდა რუსული მოსახლეობისათვის არის დანიშნული, უმრავლესობას აფხაზები და სხვები შეადგენენ, რუსები კი 7-8 პრ. არ აღემატება. ამ სკოლიდან 4 ვერსის დაშორებით კი არის რუსული სკოლა, რომელიც ზრდის რუსულ ნიადაგზე აფხაზ ბავშვებს (ლიხინის სკოლა). ქართველი ბავშვების ასე მცირე რიცხვი ამ სკოლაში აიხსნება მით, რომ აქაურ ქართველებს ბავშვი შეყავს თავიდანვე ქართულ 4 წლედში. ქართულ 4 წლედ დამთავრებული ბავშვი როცა მიდის რუსულ სკოლაში, მას სვამენ მესამე ჯგუფში. ე. ი. უკან ახვიენებენ 2 წლით, იმ საბაბით, რომ ბავშმა ენა არ იცის და ერთი-ორი წელი ენის შესწავლას უნდაო. ეს ერთის მხრივ სცემს ქართული სკოლის პრესტიჟს, მეორე მხრივ ბავშვი კლავს სწავლის ხალისს და ხშირად სკოლას სრულიად სტოვებს. მართალია სოხუმში არის ქართული 7 წლედი, მაგრამ გუდაუთიდან ან სხვა რაიონიდან იქ ბავშვის შენახვას ვინ შესძლებს ისეთ სიძვირეში და გაჭივირებაში, რომელშიაც ახლა არის მოსახლეობა? ამის საშვალება მშობლების 5 პროც.-საც არ აქვს. ამრიგად, როგორც აფხაზ, ისე ქართველ ბავშვისათვის რჩება ერთად-ერთ გზად რუსული სკოლა.

ყველა ტიპის სკოლებში, თვით რუსულ სკოლებშიაც სწავლის ხარისხი მეტად დაცემულია. ხელისუფლება და მანუ დამოკიდებული სკოლაც ბავშვს მოთხოვნილებათ უყენებს დაიხეპიროს მოხსენებები მიღწევებზე, გაასაღოს ობლიგაციები, სხვადასხვა ლატარიის ბილეთები. შეჯიბრება, დამკვრელობა, და სხვა. აი ყველა ეს ეთოვლება მას საზოგადოებრივ მუშაობაში და სწავლის ხარისხი რჩება განზე. ასე მაგალითად სოხუმში გახსნეს სპეციალური ინსტიტუტი, რომელმაც ორი წლის ნახევრის შემდეგ გამოუშვა დიპლომიანი «სპეციალისტები», მაგრამ ეს დიპლომიანი ხალხი «სპეციალისტები» აღმოჩნდნენ მხოლოდ პოლიტგრამოტაში და არა იმ დარგში, რის დიპლომიც ხელთ აქვთ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბოლშევიკები ცდილობენ მომავალი თაობის გარუსებას სკოლის საშვალებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არ ივიწყებენ სკოლის გარეშე მყოფ ახალგაზდობასაც. მათ აერთიანებენ პიონერთა ორგანიზაციაში, ავარჯიშებენ რუსულად, ამღერებენ რუსულად. ერთი სიტყვით ცდილობენ მათ რუსულ საზოგადოებაში გათქვეფას. ეს არ ხდება უნებლიეთ, ან შეუზღებლად. ოკუპანტებმა კარგად იციან რასაც აკეთებენ და რასაც ემსახურებიან. დაემატიკოთ ეს ფაქტებით.

მოსკოვის მიერ საქართველოს დაპყრობამ წყალი აამღვრია. ამღვრეთელ წყალში ლოქოს ძიება—ეს ხომ ბოლშევიკების და მისი ავანტურების პირდაპირი საქმეა. ამ შექმნილს მდგომარეობას სარგელობს ზოგიერთი და ბოლშევიკების გაბატონების დღიდან-

ვე ანთხვევენ პრევიციალური შოვინიზმის შხამს, განსაკუთრებით ახალგაზდობაში. სანიმუშოთ ავილოთ ერთი თვალსაჩინო მაგალითი: აფხაზეთის მოწინავე ძალები ძალიან კარგად იცნობენ სიმონ ბასარიას, როგორც ბოლშევიკების ავანტურს და მათი საქმიანობის პირდაპირ მსახურს. იგი განათლების ფრონტზე მუშაობს, განსაკუთრებით დაახლოებული პირია. მან აფხაზეთის განსაკუთრების წინადადებით დასწერა გეოგრაფიის სახელმძღვანელო აფხაზეთის სკოლებისათვის (რა თქმა უნდა რუსულ ენაზე), სახელწოდებით «აფხაზია». ეს წიგნი ამჟღავნებს ავტორს, როგორც გაუსწორებელ შოვინისტს. დაიწყეთ უბრალო ფაქტიდან და გადავიდეთ უფრო დიდებზე:

აფხაზეთი, რომ ლამაზი და მომხიბლავი კუთხეა ჩვენი ქვეყნის—ეს ბასარიას პირველად არ უთქვამს. ამ სიმართლეს ევროპელები და სხვა ქვეყნის მწავლებლები აღნიშნავენ. მაგრამ ბასარიას უნდა სთქვას თალაც არაჩვეულებრივი. ყველაფერი უდიდეს სიმშვენიერედ დასახლს და თავისი კუთხის უპირატესობა ავარჯიშობს ყველას. ერთ ადგილას იგი სწერს: «ტურათა ხროვის ღამის კონცერტი მეტად წარმტაცია, ვერავითარ მაგის მსგავს ვერ შექმნიან დაღესტანის ტურები»-ო. ეს მართლაც შედეგია! ამაზე შორს მართლაც ვერ წავა გეოგრაფიის ცოდნა! წარმოიდგინეთ თავისი ქვეყნის ტურების ჩხავილიც კი დიდებულ კონცერტად ეჩვენება, მაგრამ დაღესტანის ტურების «სოპრანო» როგორღაც ყურში არ მოსწონს. ეს პატარა მაგალითი აშკარად ვეუბნება, თუ როგორ გეოგრაფიულ ცნობებს მიაწვდიდა ბასარია ახალგაზდობას. იგი ტურების «კონცერტით» არ კმაყოფილდება და ებრძვის ყოველივეს ქართულს, მაგრამ პირველადვე ის ეჭიდება ყველაზე უძლიერეს მოწინააღმდეგეს—სახელდობრ საქართველოს ისტორიას, ენათმეცნიერებას და მასში მომუშავე პირებს. იგი ცდილობს გაილაშქროს პროფ. ხახანაშვილის წინააღმდეგ. პროფ. ხახანაშვილი, როცა ჩვენი ერის წარსულ ეხებოდა, ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ აფხაზეთი, როცა ძლიერდება, როგორც სამთავრო, ავიწროებს მის მოსაზღვრე კუთხეს სამეგრელოს... აფხაზეთი ენა ახდენს გავლენას მეგრულზე და სხვა. ეს ისტორიული ექსკურსია მწერალს, ცხადია, არავის წინააღმდეგ არ მოუხდენია. ბასარია კი ბრძოლას იწყებს სწორედ აქედან საქართველოს და ქართული მეცნიერების წინააღმდეგ. და ამბობს ამაზე შემდეგ: «საწყენია, რომ აფხაზეთის ხალხი ყოლზე დადგა მეცნიერების პირთ (ქართველებს) და ისინი თავის ნაციონალისტური მიზნებით ჩრდილს აყენებენ აფხაზებს იმის დაბრალებით, რასაც თვითონ ეს ნაციონალისტები პრაქტიკაში ატარებენ, ე. ი. სხვისი ტერიტორიის დაპყრობას».

უკანასკნელ მოსაზრებას ბასარია ანვითარებს და დემოკრატიულ ძალთა გაერთიანებას, საქართველოს აღდგენას და აფხაზეთის საქართველოსთან ერთად მხარში ამოღობას ხსნის, როგორც აფხაზეთის დაპყრობას. ამრიგად იბრძვის რა საქ. დემოკრ. ხელისუფლების წინააღმდეგ იმ საბაბით, თითქოს საქართველომ დაიპყრა აფხაზეთი—ხმა მალლა და ურცხვად გაიძახის: «აფხაზეთი საქართველო არაა». «გეო-

გრაფიის» ავტორი—ბოლშევიკების აგენტი ეროვნულ პოლიტიკაში—სამეგრელოსაც ისე იხსენიებს, როგორც რაღაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მაგრამ ეს მას გულუბრყვილობით როდი მოსდის! არამედ ეს განზომილი და მზაკვრული პოლიტიკაა—საქართველოს დასამცირებლად და მისი გავლენის გასაქრობად. ბ. ბასარია მოსკოვის ენით ლაპარაკობს. ცნობილი დებულება: «დაჰყავი და იბატონე» ბასარიების მოწაწილეობით და ხელებით ხორციელდება.

ასეთი პირების წყალობით გაძლიერდა «მთავალისტები»-ს სეპერატისტული მოძრაობა სამეგრელოში და ის დავიროგინდა მეგრული გაზეთის გამოცემით (თუმცა მისი ავტორები დასაჯეს რატომღაც).

ასეთია მოსკოვის აგენტების მოღვაწეობა და მათ მიერ ბოლშევიკების პრაქტიკის თეორეტიკულად დასაბუთების ცდა. მაგრამ საბედნიეროდ მათ მასხა არ მიყვება: თვით ბოლშევიკებიც კი აუშხედრდენ ბასარიას ასეთი დათვური სამსახურისათვის, მაგრამ რას დააკლებენ «ემმაკები, როცა დმერთი (მოსკოვი) მის მხარეზეა». დაბალ მასხა ბასარიას ნაწინა სრულიად არ ესმის. მან თავისი აზრი ბოლშევიკებზე უკვე გამოიტანა 1931 წელში. მართალია მას ეს ძვირად დაუჯდა, მაგრამ ფაქტი მინც ფაქტად რჩება. ხალხის სურვილი და მისწრაფება 1931 წლის აფხაზეთის გლეხების მასიურმა გამოსვლამ აშკარად გამოასახა.

შევხვით მოკლედ ამ ფაქტს.

გენა.

აფხაზეთი. 1932 წ.

შ ე ბ ა ს. ს. რ. კ ა ვ შ ი რ ს ე)

ბ-ნი ტორესი ქებას შეასხამს ს.ს.რ კავშირს... საფრანგეთ-რუსეთის აგრე წოდებულ «თავდაუსხმელობის» პაქტი, საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერილი, უნდა პარლამენტს დაემტკიცებია: სამინისტროს საყვირმა საყოველთაოდ გამოაცხადა ეს, მაგრამ უკანასკნელ წუთის მაღალ წრეებში გადაწყვიტეს, რომ საქმე უპარლამენტოდ გათავონ და შეთანხმებას რატიფიკაცია გაუკეთეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ. შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ «ხალხის წარმომადგენელი» შეურაცხყოფილი დარჩნენ მათი ასეთი უპატივცემულობით? ოპ, არა. პირიქით მათ დაუმიჯნეს მთავრობას, რომ ისინი გაანთავისუფლა ამგვარი მძიმე საქმისაგან.

მაგრამ ზოგიერთები მათ შორის, ბ. ტორესის მეთაურობით ულოცავენ მთავრობას ამ მაღალი საერთაშორისო პოლიტიკური აქტის შესრულებას. ეს მჭევრმეტყველი ადვოკატი ხომ ჩვეულია დაიცვას პარიზის ნაფიცთა სასამართლოს წინაშე საბჭოების სახეირო საქმეები; და განა დეპუტატთა პალატა არ წაავას საუცხოველი პარიზის ნაფიცთა სამსაჯუ-

ლოს? და მას შეუძლია თავის წინადადების შესავალში ისარგებლოს საფრანგეთ-საბჭოთა პაქტში შეტანილი სიტყვები: «საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი... პატივისმცემელი საერთაშორისო ვალდებულებათა, რომელიც მათ იკისრეს წინად...»

«პატივისმცემელი საერთაშორისო ვალდებულებათა, რომელიც იკისრეს»—ნეტავ ვის დასცინიან ამით? ნუ თუ ეს ირონიაა? თუ ეს ცინიზმა? ს.ს.რ. კავშირის მთავრობას, რომელმაც თავისუფლად და დებულ ხელშეკრულებით იცნო სრული დამოუკიდებლობა საქართველოსი და რამდენიმე თვის შემდეგ ომის გამოუცხადებლად შეესია მას და სწიშტებით დაიმორჩილა,—ნუ თუ ამ მთავრობას უწოდებენ დღეს საერთაშორისო ვალდებულებათა პატივისმცემელს? სიცრუეა, საშინელი სიცრუე, რომელიც აღბეჭდილია იმ დიპლომატიურ შენობის ფორტონზე, რომლის აგებას საფრანგეთის დეპუტატთა პალატა ულოცავს თავის მთავრობას!

თავის კეთილშობილურ ტრადიციების ერთგულმა საფრანგეთმა მინც უკანასკნელამდე შეუნახა საქართველოს ეროვნულ მთავრობას ოფიციალური ლეგაცია პარიზში. მაგრამ ესლა დაავდო იგი ისე, როგორც ზურგი შეაქცია ერთ დროს დაჩაგრულ პოლონეთს და ფინლანდიას, ცარისტულ რუსეთთან დაკავშირებისათვის! ორმოცი წელია შუაში და მსგავსმა მდგომარეობამ მსგავსი შედეგი გამოიწვია. ისე როგორც წინად ცარების იმპერიის მომხრობამ მოწამლა საფრანგეთში აზრი თავისუფალ დემოკრატიების ბრძოლისა დესპოტიურ იმპერიების წინააღმდეგ, ასევე დღეს საბჭოებთან შეთანხმება სწამლავს დადებულ ხელშეკრულებათა პატივისცემის ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამ ხელშეკრულებათ ფეხით სთელავენ.

რამ გამოიწვია ეს მახვილის ჩაცემა არსებითი პრინციპების ზურგში? იმან, რომ 1933 წელს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, საფრანგეთი გრძობს თავის თავს განცალკევებულად ევროპაში. მას აწუხებს იტალიის და გერმანიის დაახლოვება; ფიქრობს, რომ ძალთა თანასწორობა ირღვევა, და უნდა სწორობის დასაცავად რუსეთი გამოიყენოს. სტალინი, ისე როგორც ნიკოლაზ მეორე, ევროპის ძალთა გათანასწოებისათვის — პარადოქსია? არა: სინამდვილეა, სამწუხარო სინამდვილე.

მიაქციეთ ყურადღება, რომ მსგავსი პოლიტიკური შეხედულება მართლ საფრანგეთს არ ეკუთვნის: გუშინ ამ გზას მისდევდა გერმანია. გერმანიაც გრძობდა თავის თავს ყენევაში გარიყულად, ყოველი ზომა იხმარა მოსკოვის დელეგატების მოსაწვევად და მალე ბერლინმა და მოსკოვმა კავშირი შეკრეს. მაშინ საფრანგეთი ყველაზე მეტად წინააღმდეგობდა ბოლშევიკებს.

დღეს გარემოებანი შეიცვალა, ზოლო რუსეთის მდგომარეობა იგივე დარჩა—იგი ისევ საჭიროა თუ რმე სასწორის გასამართავად, იმ სასწორისა, რომელიც ერთხელ უკვე 1914 წ. ერთბაშად გასკდა.

რუსეთი წინადაც და დღესაც მოხერხებულა

) აუთრნალ დე ქენეზ-ის მეთაური აპრილის 7.



სარგებლობს თავის საკუთარ მიზნებისათვის საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთის მტრობას. მას შემდეგ რაც რუსეთმა შთანთქა საფრანგეთის მრავალი მილიარდი, ფართოდ გამოიყენა გერმანელი ინჟინერები და სავსებით ამოწურა კრედიტი გერმანიასა და სკანდინავიაში, იგი ხელახლა მიუბრუნდა საფრანგეთს. . . რომელმაც უკვე დაივიწყა დაკარგული მილიარდები და ბრესტ ლიტოვსკის ღალატი. ვიდრე საფრანგეთი და გერმანია არ შეიგნებენ ერთმანეთის შეთანხმების საჭიროებას, მანამდე რუსეთი ყოველთვის ისარგებლებს მათ დღევანდელ დამოკიდებულებას.

და სანამ ეს ასეა, საფრანგეთი თავს იყურებს ჰეროს ლამაზ სიტყვებით და უყურადღებოდ სტრუვებს დაჩაგრულ ერებს: ხელს აწერს პაქტს საბჭოებთან; პატივით არ ეპყრობა პარლამენტს, როცა ამ პაქტის რატიფიკაციაა საჭირო, და ბ-ნი ტარესი ქებათა ქებას უგალობს ს. ს. რ. კავშირს, ქებას პირობის დამარღვევლთა და მოძალადეებს და ბანს აძლევს მას ბავშვების ხორცს, ერთა უფლებების დაცვის წარმომადგენელი, მეორე ინტერნაციონალი, ადამიანის და მოქალაქის უფლების ლიგა. . .

სტალინი შეყვანავს ამ საკმეველს კრემლის სიღრმეში . . . და შემდეგ ისევ განაგრძობს იმ ადამიანების დევნას და წაშლას, რომელნიც იმდენად თავხედნი არიან, რომ ღმერთი უფრო სწამთ ვიდრე სტალინი!

**საკონფედერაციო სასამართლო
კავკასიის პაქტში**

მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საზოგადო უფლებაში სახელოთა (კომპეტენციების) განაწილების საკითხს. იგი ყველგან აღიძრება ხოლმე და ყველაფრის მთავარია: ვეცნებით შინაურ იურიდიულ წესს, თუ საერთაშორისოს, პოლიტიკას თუ ეკონომიკას, საერო თუ სარწმუნოებრივ საქმეებს, —სახელოთა განაწილების საკითხი ყოველთვის აღიძრება ხოლმე სიმწვავეთ და მოითხოვს სასწრაფო და იმავე დროს დამაკმაყოფილებელ გადაჭრას: თუ იგვიანებენ, თუ ყოყმანობენ გადაჭრისათვის თანახმად გონიერებისა და სწორად გაგებულ ინტერესისა, ეს ჰქმნის დაუსრულებელ კონფლიქტებს. როგორცაც ადგილი ჰქონდა საშუალო საუკუნოების სახელმწიფოსა და ეკლესიამ: დღეს ჩვენ ვხედავთ სხვაგვარი ხასიათის კონფლიქტს არა ნაკლებ სამწუხაროს, ხოლო უფრო მძიმეს თავის სოციალურ შედეგებით, ესაა კონფლიქტი სახელმწიფოსა და ეკონომიურ ორგანიზაციებს შორის, იურიდიულსა და ეკონომიურ დარგებს შორის. ამ განსხვავებათა დროს იმის მაგიერ, რომ შეთანხმდნენ, ნათლად განსაზღვრონ მოქმედების სფერო და თუ საჭირო ვახდა, მიმართონ პარიტეტულ ორგანოს დავის გადასაწყვეტად, —ხდება აშკარა ბრძოლა პოლიტიკურ უპირატესობისათვის. სახელმწიფო უარს ამბობს დათმოს ბატონობა ეკონომიურ ორგა-

ნიზაციებზე, ეს იწვევს წინამდებობას უკანასკნელების მხრით, რომლებიც ცთილობენ თავიდან მოიშორონ აუტანელი უღელი. ძნელია გათვალისწინება, თუ რითი გათავოება ის სოციალური ბრძოლა, რომლის მოწამენი დღეს ჩვენ ვართ.

წმინდა პოლიტიკური იურიდიულ დარგში სახელოთა განაწილების საკითხი გადაჭრილია და თუმცა არა უნაკლოთ, მაგრამ საჭირო არაა სხვა საშუალების და იარაღის დახმარება. კერძოდ ფედერაციაში დაწესებულია საგანგებო ორგანო, რომელსაც დაწესებული აქვს სახელოთა დავის გადაჭრა სხვადასხვა ხელისუფლებათა შორის. ეს დავა კი აუტილებელია: რაც უნდა სისრულით გავანაწილოთ სახელონი და რაც უნდა სისწორით განვსაზღვროთ ხელისუფლებათა მოქმედების სფერო, დავა მაინც შეიძლება ჩამოვარდეს და გონიერულია მისი გადაჭრის წინასწარი მოწესრიგება.

ეს მოწესრიგება ხდება სხვადასხვა ნაირად პირობების მიხედვით. სახელმწიფოთა კონფედერაციაში ძნელია დამაკმაყოფილებელი სისტემის გამოჩენა. ცხადია, კონფედერაციაში შემაჯავლი სახელმწიფოები მთავარ ყურადღებას იმას აქცევენ, რაც საუკეთესოდ უზრუნველყოფს მათ საკუთარ კომპეტენციას. ამიტომაც ისინი ცთილობენ, დავის გადაჭრა დააკისრონ არა დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც ერთს შეუძლია მიუდგომელი მსჯავრის გამოტანა, არამედ ისეთ ორგანოს, რომელიც მათზეა დამოკიდებული ან რომლის შედგენაში მათ მთავარი როლი ეკუთვნის. საკონფედერაციო პაქტების უმეტესობაში სახელოთა კონფლიქტის გარჩევა ევალება სახელმწიფოთა საბჭოს ან საერთო კრებას, რომელიც პირდაპირ ემანაცია შემაჯავლ სახელმწიფოების. უეჭველია, რომ ასე ტენდენციურად შედგენილი ორგანო ობიექტიურად ვერ გადასჭრის დავას.

გაცილებით უმჯობესი სისტემა არსებობს ფედერალურ სახელმწიფოებში, სადაც დაწესებულია უმაღლესი ფედერალური სასამართლო, მცირე რიცხვით, შემდგარი ცოდნითა და ნაწილობით ავტორიტეტულ მოსამართლეებისაგან, რომელმაც უნდა გადაჭრას ყოველი დავა როგორც ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის, ისე დავათვით შემადგენელ ნაწილთა ერთმანერთს შორის. ამის პირველი მაგალითი ვაკეთა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხოლო უფრო გაბედულსა და მეცნიერულს ვხედავთ ავსტრიის 1920 წ. კონსტიტუციაში.

როგორ მოიქცა კავკასიის პაქტი? აქაც, როგორც ბევრ სხვა რამეშიც, იგი ნახევარ გზაზე გაჩერდა. მან არ მიიღო უვარგისი გადაწყვეტილება—არ მიანდო სახელოთა დავის გადაჭრა—ეს ხომ უპირველესად იურიდიული საკითხია—პოლიტიკურ ორგანოს. მან აირჩია საკონფედერაციო სასამართლოს შექმნა. მაგრამ ვერ გაბედა, რომ ეს სასამართლო ყოფილიყო არა მარტო სამსჯავრო სახელმწიფოთა, არამედ სახელმწიფოთა და მათ ქვეშევრდომთა შორისაც. განვიხილოთ ეს შერეული დაწესებულება როგორც ორგანიზაციის ისე უფრო კომპეტენციის მხრით.

1. «საკონფედერაციო სასამართლო, ამბობს კავ-

ქტის მეცამეტე მუხლის პირველი პარაგრაფი: 'შესდგება თორმეტი წევრისაგან, რომელთაც ნიშნავენ მთელი სიცოცხლით პარლამენტები, თითოეული სახელმწიფოსი სამ-სამს». ეს დებულება გასაკრიტიკებელია ბევრნაირად. პირველად უნდა მიექცეს ყურადღება მოსამართლეების დანიშვნას პარლამენტების მიერ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ პარლამენტები განსაკუთრებულად გამოსადგენი იყვნენ ამ საქმისთვის. პარლამენტი, რომელიც შესდგება ასეულ წევრებისაგან, ემორჩილება პოლიტიკურ გავლენებს, ხშირად წმინდა დემაგოგიასაც, არ შეუძლია მოახდინოს სამართლიანი და მიუდგომელი არჩევანი უმაღლესი სასამართლოს წევრებისა. შესაძლებელია, ღირსეულ იურისტების და მცოდნე პირების ნაცვლად სასამართლოში მოხვდნენ ცალმხრივი პოლიტიკოსები, რომელთაც მხოლოდ ის ღირსება ექნებათ, რომ თავიანთ პარლამენტების ნდობით იქნებიან აღჭურვილნი. ცხადია, ეს საქმეს ავნებს. გაცილებით აჯობებდა, თუ მოვალეობა დაეკისრებოდა უფრო კომპეტენტურ ორგანოს, მაგალ. სახელმწიფოთა საბჭოს.

შემდეგ, სასამართლო შესდგება 12 წევრისაგან—სამსამი თითოეულ სახელმწიფოსაგან. აქაც პოლიტიკა სჩაგრავს უფლებას: რადგან საკონფედერაციო სასამართლო პოლიტიკური კრებული არაა, ამიტომ სრულებით საქირა არაა აქ დაცვა წარმომადგენლობის თანასწორობისა. ესეთი წესი შეიტანს პოლიტიკურ დისკუსიებს და არეგდარევას უმაღლეს სასამართლოში. შეიძლება გვითხრან, რომ სხვადასხვა იურიდიული სისტემები უნდა იქნენ წარმოდგენილნი სასამართლოში. მაგრამ სწორედ რომ იურიდიულ სხვადასხვაობას აქ არა აქვს ადგილი; ყოველ შემთხვევაში მსგავს შედეგს მივიღებდით, თუ ავარჩევდით ცალკე სახელმწიფოების იურისკონსულტებს, ოღონდ არ შევეცდებოდით მათემატიკურ თანასწორობის დაცვას, რაიც შეეფერება პოლიტიკურ ორგანოებს. სასამართლო უნდა იყოს ყოვლის უწინარეს სასამართლოს დაწესებულება და არა პოლიტიკური კრებული.

მე არ ვეჩქრდები დაწვრილებით მუხლებზე—თავმჯდომარის დანიშვნა, სესია და სხ.—რაზედაც პაქტიც სდუმს; ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მთავარ ხაზებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ პაქტი სრულიად გონივრულად იქცევა, როდესაც სასამართლოს წევრებს ანიჭებს სრულს დამოუკიდებლობას, რაიც უძვირფასესი გარანტიაა სამოსამართლო ხელისუფლებისათვის განათლებულ სახელმწიფოში.

2. საკონფედერაციო სასამართლოს კომპეტენციას განსაზღვრავს მეცამეტე მუხლის მეორე პარაგრაფი: «საკონფ. სასამართლო განიხილავს ყოველ დავას საკონფედერაციო ხელისუფლებასა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე ამ სახელმწიფოთა დავას ერთმანერთს შორის».

ამ დებულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. იგი არკვევს დაწესებულების იურიდიულ ბუნებას.

ორი გარემოებაა კიდევ საყურადღებო:

ა) კავკასიის საკონფედერაციო სასამართლო არსებითად არის სახელმწიფოთა სასამართლო, ისეთი,

როგორცაა ჰააგის მუდმივი სასამართლო. იგი მოქმედობს მხოლოდ დავის გასარჩევად სახელმწიფოთა შორის. კერძო პირს არ შეუძლია აღძრას ამ სასამართლოში საჩივარი კონფედერაციის ან რომელიმე შემავალ სახელმწიფოს წინააღმდეგ. აქედან ცხადია, რომ, მიუხედავად პაქტის დუმილისა ამ საგანზე, მხოლოდ სახელმწიფოებს ან თვით კონფედერაციას შეუძლიათ მოითხოვონ სასამართლოს მოწვევა, თანაირთ სათანადო ორგანოების საშუალებით. არავითარ სხვა ორგანიზაციას არ შეუძლია იყოს მხარე პროცესში, რომელიც სასამართლოში გაიწვიება.

ასეთი შეზღუდვა გასაკვიროა არა, ეს გამოადინარეობს პირდაპირ სახელმწიფოთა კონფედერაციის ბუნებიდან, რომელიც უფრო სახელმწიფოთა ასოციაციაა, ვიდრე პირების. უკანასკნელნი ჰქრებიან სახელმწიფოთა წინაშე, რომელნიც არიან მხოლოდ აქტიური ორგანიზმები. სულ სხვაა ფედერალურ სახელმწიფოში, სადაც პიროვნების ელემენტი თითქმის ისეთსავე როლს თამაშობს, როგორც სახელმწიფოსი. უკანასკნელს ფედერალურ სახელმწიფოში აღარ მოეპოვება სუვერენული «დიდებულება» და იგია მარტოოდენ დაქვემდებარებული პოლიტიკური კოლექტივი; ვითარცა კომუნა, დეპარტამენტი (მაზრა, გუბერნია, ოლქი) და სხ. ამიტომაც არ არსებობს არივითარი მოსაზრება, პიროვნებას ჩამოვართვათ უფლება აღძრას უმაღლეს სასამართლოში საჩივარი შემავალ სახელმწიფოთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ. ესაა დამზებული ყველა ფედერალურ კონსტიტუციებში.

დღეს უკვე ახლოვდება ისეთი ვითარება, როცა პიროვნებას საჩივრის აღძვრა შეეძლება საერთაშორისო სასამართლოშიც. მრავალი იურისტი მოითხოვს ამგვარ შესაძლებლობას ჰააგის ტრიბუნალისთვის. ეს კიდევ უფრო დასაშვებია კავკასიის პაქტის ფარგლებში.

ბ) კავკასიის საკონფედერაციო სასამართლო არა მარტო სახელმწიფოების სასამართლოა, იგი ამავე დროს დამოუკიდებელია როგორც სახელმწიფოებისაგან თვით კონფედერაციისაგან. ეს იგულისხმება მეცამეტე მუხლის მეცამეტე პარაგრაფიდან, რომელიც ამბობს, რომ «საკონფ. სასამართლო დადგენილება სავალდებულოა საკონფედ. ხელისუფლებებისა და კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებისთვის». სასამართლო არაა კონფედერაციის ორგანო, ვინაიდან მისი განაჩენი ისევე სავალდებულოა კონფედერაციისთვის, როგორც შემავალ სახელმწიფოებისთვის. ასევეა ავსტრიის 1920 წ. კონსტიტუციაში. ეს გარემოება საბაბს აძლევს ზოგს იურისტს წარმოგვიდგინოს ფედერალიზმის ორიგინალური თეორია. მათი აზრით, ფედერალიზმს ახასიათებს მრავალი ერთობა (ერთობილობა). კავკასიის პაქტში სამი ასეთი ერთობაა: ცალკე სახელმწიფოების ერთობანი, ერთობა კონფედერაციისა და ბოლოს ყველა წინა ერთობათა შეერთება. ამას სდევს ფრიად მნიშვნელოვანი შედეგი: არ შეიძლება დაქვემდებარებითი ურთიერთობა არსებობდეს კონფედერაციის რიგებსა და სახელმწიფოთა რიგებს შორის, რადგან ისინი წარმოადგენენ უფრო დიდი ერთეულის შემადგენელ



ნაწილს, მათ ერთნაირი ღირებულება აქვთ და ყველა ექვემდებარება უფრო მაღალს საერთო რიგს. ამ სისტემით, საკონფედერაციო სასამართლო არაა ორგანო არც კონფედერაციის, არც შემავალ სახელმწიფოების, არამედ იგი საერთო რიგისაა და ამითაც აიხსნება, რომ მისი განაჩენი სავალდებულოა ყველასათვის.

მე არ გავარჩევ დაწვრილებით ამ მეტად ორიგინალურ თეორიას, რომელიც ფრიად იტაცებს ადამიანს, და რომელიც ყველაზე ძლიერ შეეფერება ფედერალიზმის სულს—ფედერალიზმი ნებაყოფლობითი თანამშრომლობაა, ურთიერთობა, არა ბატონობა და დაქვემდებარება. სამწუხაროდ ფაქტები არ შეეფერებიან ამ თეორიულს დაკვირვებას და ჩვენ ვხედავთ სინამდვილეში ფედერალიზმის დამახინჯებას.

ყოველ შემთხვევაში მეცამეტე მუხლი დიდს წარმატებას წარმოადგენს შედარებით იმ ნაკლთან, რომელსაც ზემოდ შევხებით და რომელიც ეხება მსაჯულების არჩევას და სასამართლოს საზოგადო ორგანიზაციას. პაქტს რომ გულდასმით გადაიკითხავთ, უთუოდ დაასკნით, რომ უპირატესობა აქვთ შემავალ სახელმწიფოებს და არა თვით კონფედერაციას; როგორც სახელოთა განაწილების და პაქტის გადასინჯვის, ისე ცენტრალურ ხელისუფლების ორგანიზაციის მიხედვით სასწორი შემავალ სახელმწიფოების მხარესკენაა გადახრილი. ძალთა უთანასწორობა არსებობს კონფედერაციასა და შემავალ სახელმწიფოთა შორის. და საკონფედერაციო სასამართლოს მოვალეობა იქნება სწორედ ამის გამოსწორება და ჰარმონიის დამყარება სხვადასხვა ხელისუფლებათა შორის მათი სრული თანამშრომლობის განსახორციელებლად საერთო კეთილდღეობისათვის.

მიხ. მუსხელიშვილი.

მეტი გონიერება და ნაკლები ბრძოლიერობა

არავისთვისაა სადავო, რომ ყოველი ოჯახის კეთილდღეობა იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რამდენად მეტი მშვიდობიანობა და წესრიგია მასში დამყარებული, რამდენად ნაკლებია მის წევრთა შორის შესლა-შემოხლა, მტრობა და შური.

ასეთსავე სიმკვიდრესა და სიმტკიცეს უქმნის ის ფართე ოჯახს—საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს. სადაც პოლიტიკური ცხოვრება განვითარების მაღალ საფეხურზე დგას, იქ მკვიდრად არის დაფუძნებული ეს მშვიდობიანობა, წესრიგი და ამისი განმამტკიცებელი უფლებრივი და ზნეობრივი ნორმები, ხოლო სადაც ეს განვითარება სუსტია, იქ მოისუსტებს ყოველივე ეს და თვით მისი საპირობების შეგნებაც. სამწუხაროდ ჩვენ, ქართველთა, დღეს ამ უკანასკნელთა რიგში ვიმყოფებით.

ხელოვნურადაც ძნელი იქნებოდა ამ ჩვენი ნაკლის მაგალითების თავის მოყრა უკეთ, ვიდრე ამას გვაწვდის ჩვენი ემიგრანტული ცხოვრება.

ჩვენი ქართველი ემიგრანტული ოჯახის დიდი

ნაწილი პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეა და მის რიგებში იმყოფება ჩვენი ერის ბევრი პასუხისმგებელი მოღვაწე. პოლიტიკურად ასე შერჩეულ წრეში, რასაკვირველია უფრო ამაღლებული და განვითარებული წესების დამყარება იყო შესაფერისი და სავალდებულოც. ამის ნაცვლად მასში არ არის განადგებული ისეთი წესებიც, რომელიც ყოველ უბირ გლეხის ოჯახშია დაკანონებული და დაფუძნებული. მაგალითად აქაც ამჩნევენ ხშირად, რომ ოჯახის ყველა წევრები არ არიან ერთი ხასიათის, ერთი გემოვნების, ერთნაირი უნარისა, მისწრაფებისა და შეხედულობის. ამის გამო მათში დავაც ხშირია და უთანხმოებაც. მაგრამ ყოველივე ეს ყველასთვის სავალდებულო ფარგლებშია მომწყვდეული. იშვიათია შემთხვევა, რომ ოჯახის ერთი წევრი მუდმივად კვალში სდევდეს მეორეს—შენ ისე არ აკეთებ, როგორც რიგია, ხოლო თვითონ არც ისე აკეთებდეს და არც ასე, ან კიდევ საერთო სახლს რომ ანგრევდეს, ცეცხლს უჩენდეს იმისთვის, რომ მას აწყენინეს, მის ჭკუაზე არ გაიარეს. ხოლო ასეთი რამ თუ ხდება, მის ჩამდენს შეიწყულება და გიჟათ აცხადებენ. ჩვენს პოლიტიკურ ოჯახში ეს ხშირად დიდ მოღვაწეობათაც საღდება. თუ ვინმე გაწყრა, გაბროტდა, პირადულ გრძნობებსა და გულისტქმას აჰყვა, ეს გაბროტება და ღვარძლიანობა ყოველივე ზომასა და საზღვარს სცილდება, ის კეთილ დაერევა ყველას მარჯვნივ თუ მარცხნივ, არავის დაზოგავს, არაფერს დაფრიდება, რომ ჯავრი იყაროს და მით გული მოიფხანოს. მაგრამ ასეთი გაბროტება რომ სასახელო საქმე არ არის, ეს ყველამ უწყის, რაც უნდა პოლიტიკურ იდეებისა და მიზნების სამოსელში იყვეს იგი გახვეული. ორმაგ სიმანხიჯეთ იქცევა ეს საქმე, როდესაც, ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთი ჯგუფები მას ინტეგრალურ პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის იდეებით ჰფარავენ, იმ იდეებითა და მიზნებით, რომელიც თავის ბუნებით ეწინააღმდეგება ყოველივეს, რაც სხეულეზბრივად თუ სულიერად ასუსტებს ეროვნულ სიმტკიცეს, ეროვნულ მთლიანობას. შეიძლება შეუძლებელი იყოს ჩვენი ემიგრანტული ცხოვრებიდან ასეთი მოვლენების სრულიად აღმოფხვრა, მაგრამ არ არის შეუძლებელი მისი შემოფარგვლა, მისი ნეიტრალიზაცია, როგორც ავადმყოფობის, რომ ყველა მას უყურებდეს, როგორც სენს, და არა როგორც ღირსებას, და ცდილობდეს მისთვის ნაკლები გასაქანის მიცემას საერთო საქმესა და საერთო მუშაობაში.

რასაკვირველია ასეთს აღვირწახსნილ უკიდურესობას ყოველთვის ბოროტი განზრახვები და ღვარძლიანი გრძნობების დაკმაყოფილება არ უდევს სარჩულად. ხშირად ეს თავისი აზრების სხვებისთვის შეთვისების მიზნითაც ხდება. აქ სარჩულად უკვე უეცილობაა და მისი განკურნებაც ელემენტარული ამბების ხშირად ვახსენებით შეიძლება.

პოლიტიკურ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა მუდამ ქანს არსებობდა.

ამას თან დაერთვის კიდევ ჩვენი ამ ახალი ბრძოლის ეპოქის ხანაში გამჟღავნებული ზოგიერთი სხვა

ნაკლი. მთავარი ის არის, რომ ჩვენს პოლიტიკას არ ჰქონდა ჯეროვანად შეგნებული და დაფასებული ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობები შინ და გარედ, ემიგრაციაში, და თითქმის ყოველივე ინერციით მიმდინარეობს, თითქო ჩვენ სამშობლო მიწა-წყალზე განვაგრძობდეთ მუშაობას და ჩვენი პოლიტიკის საგანი იყოს ის, რაც იყო ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში. ამით აიხსნება, რომ ემიგრაციაშიც შერჩა ბევრი დღემდე იმ დროინდელი ფსიქოლოგია და პოლიტიკური მუშაობის წესები. ჩვენ კიდევ ვერ შეგვიგინია, რომ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკის საგანი არ არის არც მიწის საკითხი, არც მუშათა კანონმდებლობა და არც ჯარის ორგანიზაციის საქმე. ამ საკითხებში ჩვენი პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს დაშორებული იყვენ წინეთ და დაშორებული იქნებიან მომავალშიც, როდესაც წელს ახლა დავიწყებთ საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. მაგრამ ამ ყამად ეს დამყოფი საკითხები არ შეადგენენ რეალური პოლიტიკის საგანს უმიწა-წყლო ემიგრაციისათვის. მისი პოლიტიკის რეალური საგანია საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმე და მისთვის ძალების დარაზმვა შინ და გარედ. ამ ნიადაგზედაც შეიძლება არსებობდეს ზოგიერთი აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ის ვერ მოთავსდება ძველ პარტიულს პროგრამათა ჩარჩოებში. ამ საერთო მიზნის ქვეშ შეიძლება ბევრი სოციალისტები და არასოციალისტები ერთს ხაზზე მოჰყვენ და სხვა სოციალისტები და არასოციალისტები კიდევ მეორეზე. ასე რომ სოციალისტ—არასოციალისტებად ემიგრაციის დარაზმვა და მათ შორის შეუთრეგებელი ბრძოლის გაჩაღების ცდა სრულიად არ ეგუება ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობებს, მის ინტერესებს და წარმოადგენს სულ სხვა პირობებში შექმნილ ფსიქოლოგიის გამოძახილს, ან და პირადულ თუ ჯგუფურ გრძობებისა და გულისთქმის დასაფარავ მასალას. ვიწრო პარტიული პოლიტიკის შენარჩუნების ცდა უთუოდ სხვა რამითაც იყო გამოწვეული. პარტიები დარწმუნებული იყვენ, რომ აქედან, ემიგრაციაში მათ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ის, თუ რომელი პარტია მოხვდება უპირატეს და უკეთეს მდგომარეობაში განმათავისუფლებელ საქართველოში. ზოგი ცდილობდა ძველი უპირატესობის შენარჩუნებას და ზოგი კიდევ ახალი უპირატესობის შექნას. ამის შემზადებისთვის საჭიროდ იყო მიჩნეული მუშაობის წარმოება შინ და გარეთ საკუთარი პარტიული სახის სრული ჩამოყალიბების შენარჩუნებით, თავის პარტიის სრულ იდეოლოგიურ თვისებების გამყვანებით და, მაშასადამე, მუდმივ ქადაგებით უფრო იმიისა, თუ რა ჰყოფს და აცალკევებს ამ პარტიას სხვებისაგან ვიდრე იმიისა, რაც მას საერთო აქვს სხვებთან. პირველ ხანად თუ არ იყო ეს ნათელი, შემდეგ საკმაოდ გამოემყვანდა. ქართველ ერში იმ ზომად დიდი გარდატეხები მოხდა, რომ საკითხები, თუ ვინ ვისგან რით განსხვავდებოდა წინეთ, მის ყურადღებებს არ იქცევს. მისი გულისყური საერთო მიზნებზეა მიქცეული, განმათავისუფლებელ ბრძოლის რეალურ საგნებზე და ამის მიხედვით მასთან ის წრე

და ის პარტია უფრო იქნება ახლო განთავისუფლებლის უამს, ვინც ამ საერთო ეროვნული ფრონტის ნიადაგზე იბრძოლებს და იმუშავებს მტკიცედ და ნაყოფიერად და არა ისინი, ვინც თავის ძალღონეს შეაღწევენ იმის ქადაგებას, თუ როგორი მუშათა კანონმდებლობა უნდა დამყარდეს განთავისუფლებულ საქართველოში, როგორი პარლამენტი, თუ ფაშისტური კორპორაცია.

ჩვენს მუშაობაში სასურველ და მიზანშეწონილ ორგანიულ ერთობის დამყარებას ხელს უშლის აგრეთვე ერთი გარემოება. ზოგიერთ სოციალისტებს ჰგონიათ, რომ თუ მათ მტკიცე ერთობა დაამყარეს არა სოციალისტებთან ქართულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ეს ხელს შეუშლის მათ უცხო მემარცხენე ძალებთან დაახლოვებას. ასევე ჰფიქრობენ ზოგიერთი არა სოციალისტური ჯგუფებიც. გადამწყვეტ მომენტში ევროპის მემარჯვენე წრეები ჩვენ ამოვადგებიან მხარში, თუ მათ აქედანვე ფაშისტებთან ვაჩვენებთ თავიანთ. ამით ავიწყდებოდა, რომ ევროპის პოლიტიკოსები უფრო გონიერნი არიან, ვიდრე ესენი ჰფიქრობენ. ევროპაში ერთნაირი საზომი არ აქვთ შინაური და საგარეო პოლიტიკისათვის. ამით აიხსნება, რომ ვილჰელმის მთავრობამ ბოლშევიკები გაგზავნა რუსეთის დასანგრევად და არა გერმანოფილი მონარქისტები, რადგან ის ანგარიშობდა, რომ ბოლშევიკებს უფრო მეტის გაკეთება შეეძლოთ მისი მიზნებისათვის. ასევე მისი მთავრობა ეხმარებოდა პოლონეთის მემარცხენე წრეებს, ხოლო საფრანგეთის მემარცხენე მთავრობა კიდევ პოლონეთის მემარჯვენეებს. ამიტომ არავის უნდა გაუვიკირდეს, რომ ევროპის მემარჯვენე ძალებმა ჯერ ტროცკისტებს დაუჭირონ მხარი, შემდეგ სოციალისტებს და ბოლოს მემარჯვენეებს (ესენი სად წავლენ, თუ არ დამეხმარებიან, ხელს მინც არ შემოიშლიან), უკეთესი ისინი საბჭოთა რუსეთის წაქცევის გეგმის განაღდებას შეუდგებიან.

კიდევ არიან ჩვენში ბრძენი პოლიტიკოსები, რომელნიც ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატიებს შანს გვიგებენ—რა დროს საერთო ფრონტში ყოფნა სოციალისტებთან ერთად, როდესაც მსოფლიოში ასეთი გარდატეხები ხდებოდა. ჩვენი პოლიტიკური გეზი ვერ დაემყარება გრძობებს და ილიუზიებს. ყველა მაგალითები გვასწავლის და თვით რეალური პოლიტიკის ბუნება, რომ თუ ვინმე საქართველოს განთავისუფლებას შეუწყობს ხელს, ის დამყარება იმ ძალებს, რომელნიც უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენენ ერში, რომელთაც ქართველ ერში ძირი აქვს გამდგარი ათეულ წელთა მანძილზე მუშაობითა და ბრძოლით, და არა ისეთს ჯგუფებს, რომელნიც პარიზის კაფეებში ახალ მოდის სამოსლებს გადიცვამენ და პოლიტიკურ ასპარეზს ასე მოევიწინებენ.

ზემოდ ნათქვამიც საკმარისად არკვევს იმ მიზეზებს, რომელთა მეოხებით შეუძლებელი გახდა მეტრ მთლიანობისა, ერთობის და სწორი, მიზანშეწონილი გეგმით მუშაობა საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

შეიძლება მომავალშიდაც შეუძლებელი გახდეს ყველა ასეთი ელემენტების ერთს ხელმძღვანელ ორ-



განოს ქვეშ მოქცევა. ის მაინც უნდა შესძლოს ქართველ ემიგრაციამ, რომ მის რიგებში ადგილი არ ჰქონდეს ყოველსავე საზღვარ გადაცილებულ გაბოროტებულ ბრძოლას, სრულ აღვირწახსნილობას, მუდმივ ინტრიგებს და ჭორების თხზვას, ჯგუფების და ანროვნებათა წინამძღვრ ემიგრაციის ფარულად გაღიზიანებას, მისევეს და სხ. ამას მოითხოვს საერთო ბრძოლის ინტერესი და ამასვე მოითხოვს ჩვენი ქართული ღირსების შენახვის საქმეც. და ეს ღირსება დიდი ძალა ადამიანისათვის და უკანასკნელი ადამიანური იარაღი და სამკაული, რომლის დაკარგვის შემდეგ ის პირუტყვს უახლოვდება.

მსოფლიო აბოზოქრებულ ზღვას წარმოადგენს. ვინ იცის, რამდენი მძლავრი გემი დაახიანოს თუ ჩასძიროს მისმა ზვირთებმა და რამდენი პატარა გემი გადაარჩეს და მიადწიოს მყუდრო ნავთსაყუდარს თავის მესაქის სიმტკიცისა და გამჭირახობის მეფხებით.

შეიძლება კიდევ დაგვიდგეს 1917 წლის მსგავსი დრო, რომელიც ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ჯეროვანათ ჩვენი პოლიტიკური მოუშუადებლობის გამო.

მომავლისათვის მაინც შევიმზადოთ მეტი დაფიქრება, მეტი გამჭირახობა, სინამდვილის გაგება, მისი სწორი დაფასება და ანგარიში, ხოლო პირველს რიგში მეტი გონიერება და ნაკლები გრძობიარობა.

აღ. ასათიანი.

„შურ. „მხედარი“ და გენ. ჩხეიძის „მოგონება“

ეს ერთი ხანია პარიზში გამოდის სამხედრო ყუჩრნალი «მხედარი». მისი მიზანი იყო გაერკვია სხვადასხვა სამხედრო საკითხები და ის გამხდარიყო ქართული სამხედრო მოძღვრების, სამხედრო პრესპექტივების მაჩვენებელი და გზის გამკაფავ ორგანოდ. მართალია, სამხედრო მეცნიერება ერთია, მაგრამ მისი გამოყენება და ამუშავება ხდება ყველა ქვეყანაში თანახმად ადგილობრივი პირობებისა, მცხოვრებთა ზნეჩვეულებისა, გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობისა, ისტორიულ წარსულისა და გონებრივ მომზადებისა და სხვა. მაშასადამე საქიროა ყველა ამ ადგილობრივი საკითხების გარკვევა შესწავლა და ამ გზით შექმნა სამხედრო მოქმედების გეგმების. ეს მეტად დიდი და ფართო საკითხია და ყველა ქვეყნის სამხედრო ლიტერატურა თავის ყურადღებას უმთავრესად ამ მხარეს აქცევს. სამწუხაროდ. ქართული «მხედარი» აქ ცოტას მოისუსტებს. სწორად აქ იბეჭდება ისეთი წერილები, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვს ამ მთავარ საკითხთან. ჩვენი გულწრფელი სურვილია, «მხედარი» მიუახლოვდეს თავის მთავარ მიზანს და გვერდი აუხვიოს მისთვის უცხო თემებს. ამ მხრივ საინტერესოა იანვრის ნომერი. სადაც მოთავსებული გენ. ჩხეიძის «მოგონება».

ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ამ «მოგონებას», რასაც მიძღვნილი აქვს ქურნალის მთელი ნომერი. რასაკვირვლია, ჩვენ არაფერი გვაქვს წინააღმდეგი იმის, რომ «მხედარში» იბეჭდ-

ბოდეს სამხედრო მოგონებები, ეს საქიროც არის, მაგრამ არის მოგონება და მოგონებაც. ბ. ჩხეიძის «მოგონება» ერთი გაუთავებელი თავის ქებაა. მას, რომ ყური დაუგდოთ, საქართველოში ყოფილა მხოლოდ ორი პირი: ის და გენ. კვინიტაძე; სხვა ყველა — ოფიცერი, გენერალი. პოლკოვნიკი და პოლიტიკური მოღვაწე — უვარგისი და წყალში გადასაყრელი ყოფილა. აი ამ ტონით დაწერილი «მოგონება» რა იქნება, თუ არა სინამდვილისაგან დაუსრულებელი გადახვევა, გაუგებრობა და მხოლოდ თავისთავისთვის გუნდრუჯის კმევა.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ავტორს აღწერილი აქვს იუნკერთა სკოლაზე ბოლშევიკების თავდასხმა. რამდენად ეს აწერილობა შეეფერება სინამდვილეს, ამას აქ არ შევეხებით: საინტერესოა მხოლოდ ერთი საკითხი: რატომ ბოლშევიკებმა იუნკრების სკოლა აირჩიეს თავდასახმელად და სხვა ნაწილები კი არა?

ბოლშევიკებმა უკვე გამოაქვეყნეს ამ ამბის მთელი ისტორია. აქედან ირკვევა, რომ მათი მიზანი იყო ერთ და იმავე დროს თავდასახმოდენ და დაეკავებით არსენალი, სასახლე, იუნკერთა სკოლა, გვარდიის ყაზარმები და სხვა. შესძლეს მხოლოდ იუნკერთა სკოლაზე თავდასხმა — დანარჩენებს ვერ მიუდგენ. რატომ? ცხადია, რატომ, ყველგან დახვდათ ამისთვის თადარიგ დაჭერილი სიმაგრეები დი ველარ ვაზედეს მისვლა. ერთადერთი იუნკერთა სკოლა გამოდგა, სადაც ეს თადარიგი დაცული არ იყო და ბოლშევიკებმაც ეს ისარგებლეს. აი ეს ერთი ფაქტი საკმარისია, რომ ვსთქვათ: ეს არ არის საბუთი სკოლის მეთაურთა და გამგეთა სიამაყის.

ჩვენ, რასაკვირველია, კარგად ვიცით და კიდევაც ვამაყობთ იმით, რომ იუნკრები თავდადებულად იბრძოდნენ ტაბახმედაზე და სხვა ფრონტებზე. მაგრამ განა ეს ხელს უშლის იმის თქმას, რომ სხვა ფრონტებზედაც დანარჩენ ნაწილებისაგან, ასეთივე თავდადებული ბრძოლა იყო? სწორად საღანღულის ფრონტზე, სადაც უმთავრესად გვერდიელები იყვნენ, თავი ისახელა მტრის ზედიზედ დამარცხებით და 1500 კაც. ტყვედ წამოყვანით. საზოგადოთ უნდა ითქვას ბრძოლა ყველა ფრონტებზე მამაცურად სწარმოებდა, მაგრამ თუ სარდლობამ ეს ვერ ისარგებლა, რა ჯარის ბრალია? ან კი რად დასჯირდა გენ. ჩხეიძეს მხოლოდ თავის ფრონტის ქებათა-ქება და სხვების ჩაწიხვლა? მაგრამ თუ გაიხსენებთ მის მიერ მოთხოვნილი ამბავს განხეილებულ გენ. ანდრონიკაშვილზე, რომელიც იყო ფრონტის უმფროსი და რომელსაც ვითომ გამოქცევა ნდომებოდეს და ის გენ. ჩხეიძეს შეეჩერებოდა — ცხადი იქნება ავტორის ნამდვილი განზრახვა — აქოს არა იმდენად იუნკრები, არამედ თავას თავი. წარმოუდგენელია და თანაც დაუშვებელი ემიგრანტის მიერ ასე უდიერად მოხსენება ბრძოლის ველზე თავდადებულ გენ. ანდრონიკაშვილის, იმ ანდრონიკაშვილის, რომელიც გამოდის ბრძოლებში დამარცხებულ საქართველოსთან დარჩება ბრძოლა განაგრძო მანამ, სანამ ის ქალათებმა სხვა თავდადებულ მამულშივილებთან ერთად ჩეკას სარდაფში არ ვანიგშირა. ეს მით უფრო დაუშვებ-

საქართველოს
საქართველოს

ლია, როცა ყველამ იცის, რომ გარდაცვალებულს ხმის ამოღება და თავის დაცვა აღარ შეუძლია.

გენ. ჩხეიძე, არკმაყოფილება სამხედრო საკითხით და გადადის პოლიტიკაშიც. ის უსაყვედურებს მთავრობას, რომ ფილიოლას ხილთან ზავი ჩამოაგდო ბოლშევიკებთან 1920 წელში. «თორემ გენერალ კვინიტაძეს განზრახული ქონდა ბოლშევიკები დაემარცხებია ყაზახის რაიონში, დაძრულიყო ელისავეტოპოლზე და ფეხზე დაეყენებია თათრები, შემდეგ წასულიყო ბაქოზე, გაერეკა ბოლშევიკები აზერბეიჯანდანი» და სხვა და სხვა. ჩვენ ვეჭვობთ ასეთი გეგმა ქონებოდა გენ. კვინიტაძეს. ხოლო თუ იყო ამის მსგავსი აზრები, ის მაშინვე უარყოფილ იქნა, როგორც განუხორციელებელი და სასიფათო, თორემ დაგვემართებოდა ის, რაც მოგვივიდა ოცდა ერთში.

აქ ბ. ჩხეიძემ მხედველობიდან გაუშვა ერთი უბრალო პოლიტიკური ამბავი, რომლის ძალით შეუძლებელი შეიქნა ჩვენი ჯარების წინ სვლა, ეს გახლდათ ის, რომ ბოლშევიკების შემოსვლა აზერბეიჯანში მოხდა ოსმალეთის ინიციატივით და აზერბეიჯანელთა მოწვევით, რომ მათ ძალაუფლება გადასცეს აზერბეიჯანის პარლამენტმა და საქართველოდან გაგზავნილი ჯარები მათ დასახმარებლად იძულებული იყო უკან წამოსულიყო. აქედან ცხადია, საქართველოს არ შეეძლო თავის დასხმოდა და დაემარცხებინა აზერბეიჯან-რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებული ძალები.

აქვე არ შეგვიძლია არ ავლნიშნოთ გენ. ჩხეიძის აღმაცერი შეხედულება გვარდიაზე, მის მნიშვნელობაზე და როლზე. ის, რომ ცოტა ოდნათ ობიექტიური ყოფილიყო ამ საქმეში და თანაც საფუძვლიანად იცნობდეს საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობას და შინაგანი ძალებით მის დამაგრებას—ეცოდინებოდა გვარდიის უდიდესი როლი მთელ ამ ნაციონალურ საქმეში. გვარდია რომ არ ყოფილიყო, საქართველო იქნებოდა გასაბჭოებული პირველ დღიდანვე, როცა ოსმალეთის ფორტიდან ჯარები აიყარა და მოდიოდა თბილისზე, სადაც ამ დროს მას ხვდებოდა ერთად-ერთი შეიარაღებული ძალა—მუშათა გვარდია და გაბალშევიკებულ ჯარებს არ ანებებდა ქალაქის ახრებას. ამას გარდა თვით თბილისში მდგომი 35.000 რუსის ჯარი, გაბალშევიკებული თავიდანვე დაიჭურდა ქალაქს და გამოაცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ გვარდიას მისთვის არსენალი არ წაერთმია და იძულებული არ გაეხადა თბილისი დაეტოვებია. და თვით ქართულ გაბალშევიკებულ პოლკებს გორში, ქუთაისში ვინ ყრიდა იარაღს, თუ არა იგივე გვარდია? მართალია, შეიძლება კიცი იყო სახალხო გვარდიის, როგორც სისტემის წინამდებელი, მაგრამ ისეთი რამეს მიწერა გვარდიანზე. რაც ისტორიულ სინამდვილეს უარყოფს, ურიგობაა და თანაც შეურაცყოფელი იმ დიდ მსხვერპლის, რომელიც ჩვენი ჯარის ამ ნაწილმა გაიღო სამშობლოს დასაცავად შიგნით და გარეთ.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა:
ბ. გენერალი აგვიწერს თბილისის დატოვების მიზეზებს. მისი აზრით, 24 თებერვალს, საღამოს, თბილისი ყოველი მხრიდან შემოქალაქული იყო

მტრის ჯარების მიერ, დაგვრჩენოდა ერთად ერთი ყელი მცხეთისაკენ და საქირა იყო დიდი სიყოჩაყვამ პატარა გასავლით დაგზნულიყავით და გაგვეყვანა მთელი ჩვენი ჯარები. შექვევლია, მდგომა. მარეობა ასე იქნადა წარმოდგენილი იმ საღამოს მთავარსარდალს და ამის ძალით იმან კიდევაც გასცა ბრძანება უკან დახვეის. მაგრამ მას შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, ამბები ვიცით და შეგვიძლია კითხვა დავსვათ: ჩვენი «გარშემორტყმის» ამბავი შეესაბამება სინამდვილეს, თუ ეს უფრო იყო პანიკის შედეგი? საქმის ვითარება გვაფიქრებინებს, რომ სარდალს არ ქონდა სწორი და შემოწმებული ცნობები, თუ გინდ უბნის უფროსთა მოსმენით. ერთი სიტყვით, არავითარი ისეთი კრიტიკული მდგომარეობა არ ყოფილა, როგორსაც ესლა გენ. ჩხეიძე აგვიწერს, და თბილისი დატოვებულ იქნა ნაჩქარევით. შექვევლია, ამის მცოდნე და ავტორიტეტული პირები თავის ხმას ამოიღებენ და ამ საკითხს «მხედრის» ფურცლებზე ნათელს მოფენენ. გენ. ჩხეიძე კი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა მიზეზით თბილისის დატოვების შემდეგ უკანდახეულ ჯარებს მცხეთაში არ დახვდა არც მომზადებული პოზიცია, არც ბინა, არც სათანადო ხელმძღვანელობა და სხვა. აი ყველა ეს საკითხები, როცა გაშუქდება, მაშინ გამოირკვევა, «ვის» როგორ «გაასამართლებს ისტორია».

მოხალისე.

საქართველოს სოც.-დემოკრატი. პარტიის
40 წლის იუბილე

თანამედროვე ერთა სახელმწიფოებრივი ცხოვრება, პოლიტიკა, ყველგან პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, პოლიტიკურ პარტიებზეა აგებული და ამის მიხედვით მრავალი პარტიები დაარსებულან ამ ქვეყნად, დიდათ თუ მცირედ ერთმანეთისაგან განსხვავებული არა მარტო იდეური მისწრაფებებით, არამედ თავისი მოქმედების წესებითა და ორგანიზაციული წყობით. ამათგან მრავალი ადვილად ჩნდება და ადვილადვე სტოვებს ასპარეზს და გზას უთმობს სხვა პარტიებს. სხვა დაჯგუფებებს. სადაც ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, იქ პარტიულ დაჯგუფების გაჩენა, მისი მოღვაწეობა და მისი დასასრული, თუ ახალ ნიადაგზე გადასვლა იშვიათად იწვევს დიდსა და რთულ ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში. ასეთს საერთო წესიდან დიდათ იყო განსხვავებული სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსება საქართველოში და თვით მისი მოღვაწეობაც.

ეს პარტია პირველი იყო საქართველოში, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, გარკვეული პოლიტიკური პროგრამით მოქმედი და მტკიცე ორგანიზაციულ წესებზე აგებული. თვით იდეოლოგიაც მისი ახალი იყო ქართულს სინამდვილეში. ის ისახავდა მიზნად ისეთი პოლიტიკურ და სოციალურ წყობის დამყარებას, რომელიც არასოდეს ყოფილა წინეთ განხორციელებული.

ასეთს პირობებში დაარსებული პარტია გასაგებია დიდ ბრძოლასა და წინააღმდეგობას გამოიწვევდა ერში. ახალი გენით მოქმედება, ახალი გეგმებითა და აზრებით, რასაკვირველია. ადვილად ვერ დაიპყრობდა მოქმედების ასპარეზს და ხალხის თანაგრძობას. ამის შემდეგ ორმოცემა წელმა განვლო. სოციალდემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს ცხოვრების მრავალი პირობები დაიპყრო და უკვე თავისი დაფუძნების მეათე წლის თავიდან მისი პოლიტიკური ცხოვრების უმთავრეს და ხელმძღვანელ ძალად იქცა. მთელი ეს 40 წელი აღსავსეა დიდი გარდატეხებითა და ცვლილებებით ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. ყოველივე ამის უმთავრესი პასუხისმგებლობა, დამსახურება, მისი ავი და კარგი, რასაკვირველია, ამ პარტიას ეკისრება ისტორიის წინაშე და ხალხის უფრო შეგნებაში. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში დაარსებულ და მოქმედ პარტიის მოღვაწეობის დაფასებამდე გავლენას მოახდენს ამ პარტიის დაარსების და მოღვაწეობის ეს განსაკუთრებული პირობები და ის მნიშვნელოვანი გარდატეხები და ცვლილებები, რომელიც გამოიწვია ამ პარტიის ხანგრძლივმა ბრძოლამ და მოქმედებამ ჩვენს ერში. მას უთოვდ მრავალად აღმოუჩნდება ისეთი, ვინც ყოველსავე მოიწონებს მის მოღვაწეობაში და ისეთებიც, რომელნიც ყოველსავე უარყოფენ. მაგრამ ფართე საზოგადოება და მით უმეტეს ისტორია არ მიემხრობა არც ერთ ასეთ უკიდურესობას. ის არ დაფარავს იმ ნაკლულევალებებს, რომელიც ჰქონდა ამ პარტიის მოღვაწეობას, მაგრამ არ დაივიწყებს აგრეთვე მისი მოღვაწეობის დადებით მოვლენებს, რომელიც მიიღო და შეითვისა ჩვენმა ცხოვრებამ. ამ პარტიის პიროვნულ მოწინააღმდეგეთაც არ გაუძნელდებთ იმის აღიარება, რომ ამ პარტიის მოღვაწეობის ნაკლულევალებათა ერთი ნაწილი თუ მათი შეგნებით გამომდინარეობს ამ პარტიის იდეოლოგიიდან, ბევრი სხვა გამოიწვია ამ პარტიის გარეშე მდგომ პირობებშიც, საზოგადოებრივ განვითარების დონემ და ჩვენი ცხოვრების მრავალ არაბუნებრივ ვითარებამ.

მაგრამ არის ამ პარტიის მოღვაწეობის ჯამში მრავალი ისეთი მოვლენა, რომელთა დაფარვა აღარავის შეუძლიან, ვინაიდან ის მეტი მკვეთრად დამყარდა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში და ამის გამო ყველასთვის ხილულია. სოციალდემოკრატიულმა პარტიამ იკისრა თაოსნობა და უმთავრესად მანვე დაამყარა საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრების ორგანიზაციულს საფუძველზე შენება და მისი მართვა გარკვეული გეგმით, სისტემატიური მოქმედებით და ამის პოლიტიკური მუშაობისათვის საჭირო ძალთა მომხადებთი და დარახმვით. ის არა მარტო მავალითის მიმცემი იყო შემდეგ დაარსებულ პარტიებისათვის, არამედ მრავალი თავის ორგანიზაციაში. გაწვრთნილი მომუშავენიც შესძინა მათ. უმთავრესად ამ პარტიის დამსახურებაა, რომ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას უკვე ამ მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან ჰყავს პოლიტიკური წრე და პოლიტიკური მუშაობისათვის საჭირო კადრი. ცხოვრება და მისი მოთხოვნილებები იცვლება და

ამის მიხედვით მისი ამოცანებიც. მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ჯარიც იძულებული იქნება ამას მიჰყვეს, ხოლო ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც არსებობს ეს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი არმია.

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ისტორია ამ 30 წლის მანძილზე, ისე როგორც კერძოთ სოც. დემ. პარტიის ისტორია ამის მაჩვენებელია. ამ მანძილზე განვლილი ჩვენი ცხოვრების ეტაპები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ასევე მისი პოლიტიკურ პარტიებისა და კერძოთ სოციალდემოკრატიის გეგმები და ამოცანები. ასეა ეკონომიურსა და სოციალურ სფეროში და ასევე პოლიტიკურსა და ეროვნულ უფლებათა დაცვის ასპარეზზე.

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე ფართე მასების გამოყვანას და მათ დარახმვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივობის დამყარების საქმისათვის და ასეთივე მნიშვნელობა აქვს დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისთვის ბრძოლისა და მუშაობის საქმეში. ჩვენი ახალი ბრძოლის მავალითი ყველაზე უფრო თვალსაჩინოა.

სოციალდემოკრატიულ პარტიას სხვა პარტიებთან ერთად დიდი მსხვერპლი აქვს გაღებული ჩვენს განმათავისუფლებელ ბრძოლებში. არა ერთი ათასი თავის წევრი შესწირა მან ამ ბრძოლის საქმეს და ათასობით მისი წევრები დევნილნი არიან და ავსებენ საქართველოს და რუსეთის ციხეებს.

ამ პარტიის 40 წლის იუბილე, მისი პროგრამისა და იდეოლოგიის იუბილე არ არის. ეს პროგრამა და იდეოლოგია წინეთაც არსებობდა. ეს არის მოვლენა და დაფასება ამ პარტიის იმ დიდი ნამოქმედარის, რომელიც შეეთვისა და შეუღულდა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ისევე, როგორც მრავალ სხვა წინანდელ საზოგადოებრივ წრეებისა და თაობების.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანო, «დამოუკიდებელი საქართველო» თავის გულწრფელ სურვილს გამოსთქვამს და იმედს, რომ თავის ახალს მოღვაწეობაში სოციალდემოკრატიული პარტია აღიჭურვოს კიდევ მეტის სიმტკიცით, მეტის ენერგიით, ქართველი ერის ყველა რეალ საჭიროებათა ისეთი სწორი და სრული გაგებით, რომ ყოველი მისი ღვაწლი და მოქმედება ქართველი ხალხის ტკივილებს და საჭიროებას ხვდებოდეს და მის ეროვნულ აღორძინების დულაბად იქცეოდეს.

შ ბ რ ი ლ ი ა მ მ რ ი კ ი ლ ა ნ

4 მარტს პრეზიდენტმა ჰუფერმა და მისმა კაბინეტმა გაათავა თავის ოთხი წლის ვადა და ახალმა პრეზიდენტმა რუზველტმა და მისმა კაბინეტმა მიიღო ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობა. პირველი იყო რესპუბლიკანელების პარტიის, მეორე დემოკრატიებისა. ეს ორი პარტია უმთავრესი პარტიებია. ხან ერთის ხელშია ოთხწლიანი მთავრობა და ხან მეორის. მესამე აღსანიშნავი პარტია არის სოციალისტების, რომელსაც ჯერჯერო-



ბითკონგრესში წარმომადგენელი არა ყავს, მაგრამ საყურადღებო გავლენა აქვს სტუდენტებსა და მუშებზე. მოგესხნებათ, აქ პროპორციონალური არჩევნები არ არის. ყოველი შტატი უმრავლესი ხმით ირჩევს კანდიდატებს და ესენი ან დემოკრატები არიან ან რესპუბლიკანელები.

პირველი ორი პარტიის ისტორია მოკლედ ასეთია: დემოკრატების პარტია უძველესია, ის დაარსდა 1791 წელს. მათი კანდიდატი ჯეფერსონი არჩეულ იქნა პრეზიდენტად 1801 წ. (ამერიკის მესამე პრეზიდენტი). იმ დროიდან განუწყვეტლად დემოკრატების ხელში იყო მთავრობა 1861 წლამდე, როცა ახალი ოპონიციის ბელადი ლინკოლნი იქნა არჩეული პრეზიდენტად. ეს ოპონიცია იყო დღევანდელი რესპუბლიკანელების პარტია. მაშინ ამ პარტიის პროგრამის უმთავრესი პუნქტი იყო შავკანიანების განთავისუფლება ყმობიდან. დემოკრატები, განსაკუთრებით სამხრეთ შტატების ფეოდალები, წინააღმდეგნი იყვნენ ნეგრების განთავისუფლებისა, რომელთა შემწეობით მათ თამბაქო და ბამბა მოყავდათ. საქმე ომამდე მივიდა. პრეზიდენტი ლინკოლნის მეთაურობით ჩრდილო შტატებმა გაიმარჯვეს და ნეგრების განთავისუფლებული იქნენ. იმ დროიდან მართვლობა უფრო ხშირად რესპუბლიკანელების ხელში იყო. ამ 72 წლის განმავლობაში რესპუბლიკანელებმა მხოლოდ ოთხჯერ წააგეს პრეზიდენტის არჩევნებში. მაგრამ ახლანდელმა დეპრესიამ რესპუბლიკანელებს ლახვარი ჩასცა და არჩევნებში წააგეს.

რა არის განსხვავება დღეს ამ პარტიებში? ცნობილმა ძველმა ყურნალისტმა პრისბერინმა ერთხელ ხუმრობით სთქვა: «მხოლოდ მათი მშობელ დედები არჩევენ რომელი რომელია».

რესპუბლიკანელები უფრო მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენელი არიან და წვეულ ტარიფის (ბაჟის) მომხრენი, დემოკრატები კი წვრილი ბურჟუაზიის აზრის განმტარებელი და უფრო პროგრესისტები. საერთოდ ხალხი მეტს ხმას აძლევდა რესპუბლიკანელებს, რადგან დიდი მრეწველობა მათ ხელში არის და თუ მათ კარგათ აქვთ საქმე—ჩვენც სამუშაო გვაქვს და კარგათ ვიქნებითო. მაგრამ უკანასკნელ 2-3 წლის დეპრესიამ იმედები დაუკარგა მათზე. ბევრი ქარხნები დაიკეტა და უმუშევრობამ იმატა, ბევრი ბანკები გაკეტრდა და ათასობით ხალხს ლუკმა პური დაეკარგა. პირადათ ჰუფერმა ვერ გაამართლა იმედები და ხალხმა უბედურება მას დააბრალა და დიდი უმრავლესობით დემოკრატებს მისცა ხმა. 48 შტატებიდან—43 რუხველტს მისცა ხმა (შორეული ჩათესავია ყოფილ პრეზიდენტი თეოდორე რუხველტისა).

ჰუფერის მთავრობა იყო—მთავრობა მდიდრებისა. მის კაბინეტში იყვნენ მდიდრები და მდიდრების ინტერესების დამცველნი. თვითონ ჰუფერი მეტად ყინიანი გამოდგა. დაქინებით თავის აზრი გაყავდა და ხალხის ხმას ყურადღებას არ აქცევდა. კონგრესისაგან განცალკევებული იყო. მათ შორის თანხმობა არ არსებობდა. რასაკვირველია, დეპრესია მისი ბრალი არ იყო, მაგრამ მას ბევრი რამე შეეძლო გაეკეთებია და მდგომარეობა შეემსუბუქებინა.

ინიციატივა ხელში არ აიღო, კონგრესის პროგრესიული წევრების ინიციატივა კი კონსერვატულ ელემენტების უმრავლესობამ ჩაკლა. უკმაყოფილება მხოლოდ არჩევნების დროს გათავდა. მოგესხნებათ, აქაურ მთავრობის სისტემა დიდათ განსხვავდება ევროპიულ სისტემისაგან აქ არ არის პრემიერი, პასუხი მგებელი, კაბინეტის შემადგენელი. აქ თვით პრეზიდენტი ადგენს კაბინეტს და პრეზიდენტი და მისი კაბინეტი პასუხის მგებელი არ არის კანონმდებლების წინაშე ევროპიულ წესის გვარად. ხშირად უმრავლესობა კანონმდებლებისა (კონგრესისა) წინააღმდეგია მთავრობის, მაგრამ მთავრობა, ე. ი. პრეზიდენტი განაგრძობს თავის მუშაობას, თავის გეგმას და თუ უნდათ მათი გადაყენება, ან სენატმა ბრალდებულის სკამზე უნდა დასვას (კონსტიტუციის ძალით მას აქვს ამის უფლება) ან და უნდა მოუცადოს მისი ვადის გათავებას. ასე იყო გასულ მთავრობის და კონგრესის დროსაც (კონგრესი შესდგება ორი პალატისაგან: 1) სენატი, რომლის წევრებს ირჩევენ 6 წლის ვადით, 2 კაცს ყოველ შტატადან, მიუხედავად სივრცისა, ე. ი. სულ 96. 2) ქვედა პალატა, დარბაზი წარმომადგენლებისა, რომლის წევრებს ირჩევენ 2 წლის ვადით. მათი რაოდენობა ყოველ შტატიდან დამოკიდებულია ამრჩეველთა რიცხვზე—ყოველი 279000 ირჩევს ერთ წარმომადგენელს, სულ მათი რიცხვი 435 კაცია. ჰუფერს არ ყავდა უმრავლესობა ამ უკანასკნელ ორ წელს ქვედა პალატაში. რესპუბლიკანელების და დემოკრატების ძალები თანასწორნი იყვნენ. ძალა 8 მდე. ვგრეთ წოდებულ ინსურგენტების—მემარცხენე რესპუბლიკანელების ხელში იყო და ესენი ხან ერთ პარტიას აძლევდნენ ხმას და ხან მეორეს. და ესეც რასაკვირველია ხელს უშლიდა ჰუფერს.

დღევანდელი კონგრესის (ორივე პალატის) უმრავლესობა დემოკრატების ხელშია და ამ მხრივ რუხველტს დიდი უპირატესობა აქვს ჰუფერზე. მერე რუხველტი თუმცა ჰუფერზე არა მეტი საქმის მცოდნე და ნიჭიერია, მაგრამ აწყობა ალღოს ამღებად ითვისება. მისი კაბინეტი, რომელიც ათი კაცისაგან შედგება, არ წარმოადგენს დიდ ძალას. ორი წევრი ყოფილი რესპუბლიკანელია, რომელთაც რუხველტს მხარი დაუჭირეს არჩევნების დროს. ამით ის აბამს ერთგვარ კავშირს მემარცხენე რესპუბლიკანელებთან. როცა კაბინეტის სია გამოქვეყნდა, აქაურ პრესას გაუკვირდა, რომ დემოკრატების ბელადების სახელები იქ არ იყო, გარდა ვალშისა, რომელიც სამი დღის წინად უეცრად გარდაიცვალა და რომლის მარჯერი ჯერ არავინაა. გარეთ დარჩნენ ისეთი პირნი რომოროც იონგი, ბეკერი, დევისი, რიჩი და სხ. ეს ამით აისხნება, რომ რუხველტს უნდა ალბათ ისეთი ხალხი. ვისი მოვლა ადვილად შეეძლოს, ვისი ავტორიტეტი მისაზე მაღლა არ იყოს, ვისგან რჩევას მიიღებს, მაგრამ ვინც თავისას არ გაიყვანს. ხოლო უმთავრესი მიზეზია აქაური ჩვეულება: ვინც მეტს დახმარებას უწევდა არჩევნების დროს, ის ღებულობს ჯილდოთ ადგილს კაბინეტში. ყველა ახლანდელი კაბინეტის წევრები დიდ როლს თამაშობდნენ არჩევნების დროს.

ამ აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობაში, რომლის მსგავსი ამერიკის ისტორიას არ ახსოვს, დიდი იმედებია დამყარებული პირადათ რუხველტზე და მის დაპირებებზე ეკონომიურ სფეროში. მაგრამ რას იზამს საგარეო კითხვებში, არავინ იცის. ეს იმ პარტიის შვილია, რომლის ბელადმა ვილსონმა მსოფლიო ომის დროს ბევრს დაჩაგრულ ერს გაუღვიძა იმედები...

ბიბლიოგრაფია

ექ. თაყაიშვილი: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუხი. პარიზი 1933 წ.

პროფ. ექ. თაყაიშვილის პირდაპირ კოლოსალური მოღვაწეობა ქართული მწერლობის, ხელოვნების და მატერიალური კულტურის ნაშთების შეკრებისა, აღწერისა და გამოკვლევებისათვის უწყობარითად დაუფასებელია. თითქმის ნახევარი საუკუნეა ეწევა იგი ამ სარბიელზე მუშაობას და არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე მოუფლელი. აღწერა ყველგან საეკლესიო შენობები, ფრესკები, სამკაულები და სხვა საგანძურები, გადმოიღო დაწვრილებით ყველაფრის სურათები, აღწერა და შეისწავლა თუ სადმე მოიპოვებოდა ძველი ხელნაწერები, და მრავალს მოუყარა თავი ტფილისში ჯერ წერა-კითხვის საზოგადოების და მერე საისტორიო საზოგადოების ბიბლიოთეკებში. ამავე დროს გამოიჩინა ბევრი ხელნაწერი, რომლებიც უკვე ინახებოდა ჩვენს წიგნთსაცავებში. მისი ნაშრომი რამდენიმე ათეული დაბეჭდილია, მაგრამ რამდენადაც ვიცით, დიდი წილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. მისი ნაწერები შეადგენენ უმტკიცეს საფუძველს ქართული ისტორიისათვის და ვერც ერთი ისტორიული მკვლევარი გვერდს ვერ აუტყვევს მათ.

აქ უცხოეთშიაც პატივცემული პროფესორი განაგრძობს თავის ძვირფას მუშაობას და სხვათა შორის არ დასტოვა უყურადღებოთ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოვება 28 ქართული ხელნაწერი. ამ დღეებში გამოსცა სუფთად დაბეჭდილი მოზრდილი წიგნაკი ხემალიწილი სათაურით. პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები წინადაც იყო აწერილი ბროსეს, ხახანაშვილის და მაკლერის მიერ, მაგრამ შეცდომებით. დღეს კი ჩვენ გვაქვს სრული და სწორი აღწერა ხელნაწერებისა, რომელთა შორის ზოგი უნიკუმი და იშვიათი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პარიზის ხელნაწერების შესწავლის დროს ბ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა 16 ახალი ნიმუხი ქართული საიდუმლო დამწერლობის. დღემდის ცნობილი იყო მხოლოდ ოთხი ასეთი ნიმუხი. ჩვენს წინ მდებარე წიგნაკში აწერილია ყველა საიდუმლო ნიმუხები მათი ფორტო-ტაბიური სურათებით. ეს ახლად აღმოჩენილი ნიმუხები საშუალებას მისცემენ ჩვენს მკვლევართ ისეთი ნაწერების წაკითხვისათვის, რომელთა ვაგება აქამდე შეუძლებელი იყო.

ეს გარემოება კიდევ უფრო მეტს ღირებულებას აძლევს ექ. თაყაიშვილის ისედაც საინტერესო წიგნაკს.

მ ო წ ო ლ ე ბ ა

ქართველთა საზღვადღებისა ერთა ლიგისათვის.

იყო დრო, როცა ხმალი და მხნეობა საქმარისი იარაღი იყო ქვეყნის დასაცავად თუ დასახსნელად. სხვა დრო დადგა: ეხლა მართა ეს იარაღი არა კმარა. საქირთა კიდევ თანაგრძნობა საერთაშორისო აზრისა და შეხედულებისა.

თუ განთავისუფლებული საქართველო ისევ დავებო და ისევ მოექცა რუსეთის ბატონობის ქვეშ, ამის მიზეზი, არა პატარა წონისა, იყო ის გარემოება, რომ საქართველოს არ იცნობდნენ ევროპაში, არ იცნობდნენ მის წარსულს, მის კულტურულ დონეს, მის უფლებას და შემოქმედებითს ძალას. მის განთავისუფლებას უყურებდნენ, როგორც შემთხვევით აფეთქებას და არა როგორც აუცილებელ დასაკვნას მისი ცხოვრების ისტორიული პროცესისა. აქედან ცხადია ჩვენი მოვალეობა: უნდა გაიფანტოს ეს გაუფხვრებლობა.

უმთავრესი ასპარეზი ამ მუშაობისათვის იქნებოდა ერთა ლიგა. სამწუხაროდ საქართველოს დაცემით ჩვენ დაგვეწო ეს კარი და სარბიელი. მაგრამ არის მეორე დაწესებულება: «საერთაშორისო კავშირი ერთა ლიგისათვის», სადაც საქართველო შედის, როგორც სრულუფლებიანი წევრი. აქ კარი ღიაა და ასპარეზი ვრცელი.

ამ კავშირში წარმოადგენილია თითქმის ყოველი ერი ევროპის, ამერიკის და აზიისა. აქ შეხვდებით ყველა ქვეყნის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, მწერლებს და მეცნიერებს. წევრთა რიცხვი ზოგი საზოგადოებისა აქ ითვლება მილიონებით. პერიოდულად იმართება ამ კავშირის კონგრესი: ჰკითხულობენ მოხსენებებს, არჩევენ საერთო საკითხებს, ამოძრავებენ საზოგადოებრივ აზრს და ჰქმნიან გადაწყვეტილ შეხედულებას ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემაზე. კავშირის მიზანია: ემსახუროს ერთა ლიგის მიზნებს, ე. ი. მშვიდობიანობის და სამართლიანობის დამყარებას საერთაშორისო განწყობილებაში.

მშვიდობიანობა და სამართალი! განა სხვა რამეა ქართველი ერის მოთხოვნილება? განა სხვა რამეა აღდგენა მისი უფლების აგრე უსირცხვილოდ შელახულის და ფეხქვეშ გათელილის რუსეთის იმპერიალიზმის მიერ? მართალია, ამ ყამად საქართველო შეკრულია და შებოჭილი, მას არ შეუძლია ხმის ამოღება, მაგრამ განა ცოტაა გადმომხვეწილი ქართველობა, გაფანტული დედამიწის შურაზე? თითოეული ქართველი ნატუნია ეროვნული სხეულის და მატარებელი მისი სულის და შეგნების. შემოკრება და შეკავშირება ყველა ამ ნატუნებისა იქნება ბრწყინვალე და მკვეთრი აშუქება ამ ეროვნული სულის და შეგნებისა. ეს აშუქება უნდა შეიკრას მსოფლიო პოლიტიკაში და გაანათოს იქ ნამდვილი სახე ქართველი ერის: მისი ოცი საუკუნის კულტურა, მისი უფლებიანი და გადაწყვეტილი ნებისყოფა ამ უფლებათა აღსადგენად.

ჩვენი გზა გარკვეულია, კარი ღია, ასპარეზი ვრცელი.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქართველს,

დიდსა და პატარას. კაცსა და ქალს, განურჩევლად პარტიისა, ჩეწეროს ჩვენს საზოგადოებაში, რომლის განყოფილება უნდა იქნას დაარსებული ყველგან, სადაც კი მოიპოვება გადმომხვეწილი ქართველობა.

დრო არ იცდის, მდგომარეობა რთულია, ატმოსფერო სავესეა ელექტრონით. მოსალოდნელია ქუხილი და ქარიშხალი. თუ ქართველი ერთ ყოველთვის მზად არის ცხადპყოს თავის ნებისყოფა იქ, საქართველოში, აქ, ევროპაში, საჭიროა მის ანმაულებას გამაფხმებურს განათლებული კაცობრიობა.

ქართველებო! მიიღეთ მონაწილეობა ამ დიდ მუშაობაში.

გამგეობა {
გვ. გემგვკდრი
გიორგი გვაზავა
ხ. შავიშვილი
ალ. ასათიანი
ივხ. გდბეხია.

მისამართი:

Association Géorgienne pour la S. D. N.
4, Impasse des Prêtres. Paris XVI.

საერთაშორისო კავშირი ქართული ხეყცია

კვირას, 7 მაისს, ნაშუადღევს 3 ნახ. ს., (rue de Las Cases № 5. მეტრო სოლოფერინო) შესდგება ქართული საზოგადოების საჯარო კრება, ბ. ე. გეგეჭკოლის თავმჯდომარეობით.

ბ. გ. გვაზავა გააკეთებს მოხსენებას: ერთა ლიგისათვის საერთაშორისო საზოგადოება და მისი მნიშვნელობა ქართული პოლიტიკისათვის; ბ. ე. გეგეჭკორი გაუკეთებს შესავალს ამ მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით და დასასრულ მოხდება აზრთა გაზიარება მოხსენებაში აღძრულ კითხვების გარშემო.

საქართველოს ეკლესია

გასული მარტის 16 პარიზში მართლმადიდებელ ეკლესიათა ყველა ერის წარმომადგენლების კრებას ბ. ილამაზ დაღეშკელიანმა გაუკეთა მოხსენება საქართველოს ეკლესიის შესახებ.

კრებას თავმჯდომარეობდა მ. გრიგოლ ფერაძე, პარიზის ქართველთა ეკლესიის წინამძღვარი, ყოფილი დოცენტი ბონის უნივერსიტეტისა.

მ. ფერაძემ განუმარტა დამსწრეთ, თუ რა დიდი როლი ითამაშა ქართველმა ეკლესიამ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიის შემუშავებასა და შედგენაში შვიდი მსოფლიო კრებების განმავლობაში. გააცნო კრებას აგრეთვე მნიშვნელობა მდიდარი ქართული საეკლესიო მწერლობისა.

შემდეგ სიტყვა აიღო ბ. ილამაზ დაღეშკელიანმა, რომელმაც გააშუქა სავესებით საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის კანონიური მდგომარეობა მისი დაარსებიდან ჩვენს დრომდე. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იმ გარემოებაზე, რომ რუსეთის

მთავრობამ 1811 წ. უმართებულთ და უკანონოთ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ყოველნაირად სდევნიდა ქართველ სამღვდლოებს. შემდეგ აღნიშნა ისიც, რომ რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ მოინდომა ამ ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესობა, ხოლო უნდოდა მიენიჭებია საქართველოს ეკლესიისთვის არა ტერიტორიალური ავტოკეფალია, არამედ ეროვნული, რაიც დაგმობილია მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის კანონებით.

კრებას დაესწრენ პარიზის ბერძენთა, რუმინთა, რუსთა და სხ. ეკლესიების წარმომადგენელნი. სხვათა შორის იყო რუსეთის დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრი პროფ. კარტაშოვი რომელმაც აღიარა დრ. მთავრობის შეცდომა, ხოლო მდგომარეობა იყო მაშინ მეტად მძიმე.

პარიზის ეკლესიის ანგარიში

შემოსავალი გადასახადი 80 ფრ., შემოწირულობა ინგლისიდან 7.113 ფრ. 40 სან., შვედოვილი 968.40, კერძოდ ქ. ჯაფარიძის შეგროვილი 822.40, სულ 8984.20. გასავალი: ბიუროსი 543.65, ფოსტის 87.65, მღვდლის გასამრჯელო 4.290 ფრ., საეკლესიო ხარჯი 2338.05, სულ 7.259 ფრ. 35 სან.

ნაშთი 1931 წ. 2224.68, ნაშთი 1932 წ. 1724.85, სულ 3949.53.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორე,

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენი პატივცემულ ორგანოს უახლოეს ნომერში შემდეგი: ამა წლის 8 იანვარს ქ. პარიზში შესდგა დამფუძნებელი კრება საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ყოფილ მეომართა, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა საზოგადოების წესდება და აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა გენ. შტაბის პოლკ. ვიქ. ცხაკაია; გამგეობაში აირჩიეს: მაიორი სოლ. ზალდასტანიშვილი, მაიორი დიმ. ანანიაშვილი, მაიორი აკ. კვიციანიშვილი, ლეიტ. მიხ. დადიანი; სარევიზიო კომისიაში: პოლკ. ფრ. წულუკიძე, ლეიტ. სიმონ გოგიბერიძე, ექიმი რაქ. ხოჭოლავა.

საზოგადოების სახელია: L'Association des anciens combattants Géorgiens résidants en France— დამტკიცებული პრეფექტის მიერ და გამოცხადებული «Journal Officiel»-ში 1933 წლის 3 თებ. თარიღით.

საზოგადოების მიზანია: 1) შეაკავშიროს ქართველი ყოფილი მეომრები (ოფიცრები, ჯარისკაცები, სამხედრო მოხელენი); 2) ნივთიერი და მორალური ურთიერთ დახმარება და 3) მიაწოდოს თავის წევრებს ყველა უფლება-შელავათი, რომელსაც სარეგულმდებნ საფრანგეთის ყოფილი მეომარნი (კარტ დე კომბატან).

ქართველ ყოფილ მეომართა საზოგ. მისამართი: M-r V. Tsakaia, 55, rue Thiers. Boulogne (s Seine).

პატივისცემით ქართველ ყოფილ მეომ. საზოგ. გამგეობა.